

825
1992

ISSN : 0763 - 7247



ପ୍ରମାଣି

ଫାରତୀଲି ଉରୋବନ୍ଦୀଲି ମୋଲିଭିକିଲି ଏବଂ ଲିଟେରାଚୁରିଲି ପରିବାର

୩୩୬୦୯୦

N° 27

PARIS

୩୦୯୧୯୬୯ ମସି 1992 PRINTEMPS

26 მაისი 1918

9 აპრილი 1991

დიდმნიშვნელოვანი ეროვნული თარიღებია. 70 წლის განმავლობაში, საქართველო გულში, ხოლო მისი ემიგრაცია აშკარად ყოველწლიურად ზეიმობდა 26 მაისობას, როგორც თანამედროვე საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს.

ემიგრაცია ახლაც აგრძელებს მას, თითქოს არფერი არ მომხდარიყოს; მაგრამ მოხდა და მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი: 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს მთავრობამ, მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით, 1921 წლის დაპყრობის გამო შეწყვეტილი საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, აღადგინა და მსოფლიოს ამცნო იგი.

მართალია, რომ ის მაშინვე არ უცვნიას არც მსოფლიო სახელმწიფოებსა და არც თვით რუსეთს, მაგრამ არც აშკარა წინააღმდეგობები არ გამოცხადებულა და მთავარი კია, რომ მასზე მტკიცედ იდგენ ქართველობა და მისი მთავრობა.

ისმება კითხვა: მომავალში საქართველომ როდის უნდა იზეიმოს მისი ეროვნული დღესასწაული? ეს საქართველოს პარლამენტის საქმეა, მე კი მგონია, რომ ეს უნდა დარჩეს ისევ 26 მაისს, რაღანაც ეს დღეა „საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შობის“ დღე და ესაა თავიდათავი.

გაუმარჯოს 26 მაისს!

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

ბ რ ა ლ ს გ დ ე ბ თ რ უ ს უ ლ ი მ პ ე რ ი ა ლ ი % მ ს

პლანეტარული მასშტაბით წარმოებულმა უაღრესად მზადვა-
 რულმა დეზინფორმაციამ შეცდომაში შეიყვანა მთელი მსოფლიო,
 მათ შორის ქართველებიც. ყველა დარწმუნებულია, რომ
 საქართველოში აღვილი ჰქონდა სამოქალაქო ომს, ვითომ ქართველები
 მსხვერპლი არიან თავისუფლების: საბჭოთა წესწყობილების დამხობის შემდეგ თავისთავად დარჩენილმა ქართველმა ხალხმა
 რომელსაც დემოკრატიული გამოცდილება არ გააჩნია, ძალაუფლება ჩააბარა საშიშ დიქტატორსა და რასისტზე
 გამსახურდიას, რომელიც არა მარტო შინაურ მშვიდობიან მპოზიციის ანადგურებს ფიზიკურად, არამედ ის აგრეთვე ვითომც უწყალოდ ყლეტს მშვიდობიან ოსის ხალხს, არ ინდობს არც ბავშვებს, არც ქალებს, არც მოხუცებულებს,
 საერთოდ კი იგი აღვივებს შუღლსა და მტრობას საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებსა და ქართველებს შორის და სხვა.

ერთი სიტყვით, საქართველოში აღვილი ჰქონდა შინაურ რევოლუციას: ვითომც დემოკრატიული ძალები ებრძოდენ ტირანულ რეჟიმს, პირველებმა გაიმარჯვეს, ამით დემოკრატიამ ვითომც გაიმარჯვა ფაშიზმსა და რასიზმზე, რომელიც ემუქრებოდა მეზობელი ხალხების და საერთოდ მსოფლიოს მშვიდობას. ამას რომ გულუბრყვილ ხალხი ფიქრობდეს, ეს იმდენად ვერადერს დაკალებდა ქართველ ხალხს, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, ამ აზრს იზიარებს, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ხელისუფალნი, ეს ფაქტი კი გვეარნახობას: გავიორკეცოთ ძალისხმევა, რათა შევიძლოთ, უწმინდური მაცდური ძალების მიერ დაბრივებული სიმართლის აღდგენა.

მხოლოდ სიმართლის საყოველთაო აღიარება იხსნის ჩვენს შვეულას! ეს კეშმარიტება უნდა უდავოდ შეისისხლხორცის ჩველა შეგნებულმა და ერთგულმა საქართველოს შვილმა.



თუ ქართველი ხალხი დღევანდელ კრიტიკულ მომენტების შემთხვევაში სიფხიზესა და გადაწყვეტილებას არ გამოიჩინა, თუ ის, მოტყუებით იქნება ეს თუ ძალატანებით, ისევ გაპყოფს თავს რუსთის სახელმწიფოს ულელში, მაშინ მას დიდხნობა-მდის მოუწევს ლოდინი იმისათვის, რომ ხელახლად შეიქმნას ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები ჩვენი ეროვნული გან-თავისუფლებისათვის და არსებობს სერიოზული საფრთხე იმ-ისა, რომ მან საბოლოოდ დაპკარგოს აავისთავალობა, რომ მისი ნამოსახლარი იქცეს მკვდარ ცივილიზაციის სივრცედ. ვახტანგ მეექვსისა და პატარა კახის პოლიტიკური არჩევანი რუსთის სახელმწიფოს. სასარგებლოდ მხოლოდ ამ კუთხით შეიძლება გამართლდეს. მე- 17, მე- 18 -ე საუკუნეებში საქ-ართველოს გაყიზილბაშება და გათათრება. ემუქრებოდა: ქართველი ერის საუკეთესო ნაწილი სამშობლოს სტოვებდა, დამ-ჰყრობელთა სამსახურში შედიოდა, უმრავლესობა თაობიდან თაობამდე სამშობლოს ეკარგებოდა; შეორე ნაწილი, რომელიც მამა-პაპის კერაზე ჩჩებოდა, ისიც, პრაქტიკული მოსაზრებით, დაპყრობი ერის ენას და იდეოლოგიას ჩჩებოდა; ნელნელა, ბრიყვათავის შეუმჩნევლად კნინდებოდა, კვდებოდა დიდებული განუმეორებელი ქართული ცივილიზაცია. მის გადასარჩენად აუცილებლად საჭირო იყო, რომ საქართველო გამოთიშოდა, მოსწყვეტოდა ამ მის დამსუბუქელ გარემოს.

განგებისა თუ ჩვენი მეფეების ახირებულობის წყალობით, ჩვენ მართლაც დიდად გამოვიცვალეთ გარემო, მაგრამ მისი რუსთის სახელმწიფოს მიერ ანექსის ორას წლისთავისათვის, საქართველო ისევ იმავე საშიშროების წინაშე დგას, რადგანაც, განა იმას აქვს მნიშვნელობა თუ რა ჯიშის ნადირი გაგდლვნის!?

ნახევარი საუკუნის არ ყოფნის შემდეგ, როცა შარშან სამშობლო მოვინახულე, გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ ნალები ქართული ინტელიგენცია არ განიცდიდა ამ საშიშროების არსებობას, მათი გონება მხოლოდ პირად ვნებათა დელვას მოეცვა.

ასეთივე უპასუხბესმგებლობით მაკვირვებს ჩვენი მართლმა-დიდებლური ქრისტიანული ეკლესიის საშეთმპკრობლის, ილია

მეორის მოქცევა და თავისმართლება მის უკანასკნელ საშ-ობაო ეპისტოლები. „ჩვენს წინ რომ უცხო მტერი ყოფილიყო, პირველი შევეგებებოდით მას, ბრძანებს მწყემსთმთავარი და აგრძელებს, მაგრამ ჩვენს საწმყსოში, ჩვენს შვილებს შორის არჩევანის გაკეთების უფლება არ გვერნდა“—.

ეპლესის მოვალეობაა, სიმართლეს ემსახუროს, მაგრამ ასე ვერც სიმართლეს ვერ მოვემსახურებით და ვერც ბოროტებას ვერ აღმოვფეხრით! ამ აზრის სიმცდარეს თვით ბიბლია მიგვითოთებს. მართლაც, როცა კაენმა მისი ძმა აბელი მოჰკლა, მამაზეციერმა მას კი არ დაუყვავა, თავზე ხელი კი არ გადაუსვა იმიტომ, რომ კაენიც მისი გაჩენილი და, მაშ, მისი შვილი იყო, არამედ მრისხანედ ჩამოსძახა:

„სად არის შენი ძმა აბელი? ეს რა ჩაიდინე?! შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომლალადებს. ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიელო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას, დევნილი და მიუსაფარი შეიქნები. ამ ქვეყანაზე!“ (ბიბლია, დაბადება თავი IV, მუხლები: 9-10 -11 -12;)

ვინაა ძმის მკვლელი და ვინ კიდევ მისი მსხვერპლი? აი კითხვა უბრალო, მაგრამ რაოდენ მტკიცნეული და მნიშვნელოვანი აგრეთვე. ამ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი კათალიკოსს და ბოროტმოქმედი დაეწყევლა და შეჭირენებია; მით უფრო, რომ ბოროტება მთელი ერის მიმართაა ჩადენილი. ამის მაგივრად ის ერთნაირ ბრალდებას უყენებს მკვლელსაც და მსხვერპლსაც, ხოლო მესამეს, მთავარ ბოროტმოქმედს სრულებითაც ვერ ხედავს და მით ანთავისუფლებს მას ჩადენილი საშინელი ცოდვისაგან.

სხვა საყვედლურებიც შეიძლება იმქვას კათალიკოსის მისამართით:

I. შარუან სექტემბრის ბოლო რიცხვებში კათალიკოსი როგორც არბიტრი ესწრებოდა მოლაპარაკებას მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებისას.. იგი ჩაიშალა. როგო-



რც წესი ასეთ შემთხვევაში, ჩაშლის მიზეზს მხარეების მიხედვით თმანეთს აბრალებდენ, კათალიკოსი კი სდუმდა. პრეზიდენტის მიხედვით, მოლაპარაკება ჩაიშალა იმის გამო, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები შეთანხმების წინაპირობად მოითხოვდენ პრეზიდენტის გადადგომას. ილა მეორის მოვალეობა იყო, ამ მოთხოვნის აბსურდულობა ემხილებია.

II. კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ძალმომრეობით, შეიარაღებული აჯანყებით დამხობა რომ ლვითს საგმობი საქმე იყო, ამის დაგმობაც კათალიკოსის მოვალეობა იყო.

დაპყრობა- ანექსია

ის, რაც გასულ დედემბერს თბილისში მოხდა, იყო არა სამოქალაქო ომი, როგორც ამას ყველა ლაპარაკობს, არამედ შენიდბული იმპერიალისტური ომი დამოუკიდებელი საქართველოს არსაბლიერის დაპყრობა-ანექსიის მიზნით.

რუსები უაღრესად დახელოვნებულნი არიან ამ საქმეში. ამას ისინი ისე აჩვენებენ გულუბრყვილოთ, რომ განთავისუფლება, გაბედნიერება ეგონოთ. ამ მზაკვრული გზით (და არა რუსის განსაკუთრებული ჰქუითა და მამაცობით) პატარა მოსკოვია უშველებელ იმპერიად გაიზარდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ კავკასიონს გადმოლახავდა და საქართველოს ანექსიას მოახდენდა. რუსეთის სახელმწიფომ უკვე ორჯერ მოუხდინა ოკუპაცია-ანექსია ჩვენს ქვეყანას: **1801** და **1921** წლებში. ორივეჯერ რუსები აიძულებდენ ქართველებს ელიარებიათ, რომ ეს ხდებოდა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, მის დაღუპვისგან გადასარჩენად და არა რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებისათვის. კერძოთ **1921** წლის ოკუპაციის შესახებ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ:

„**1920** წ. დამლევსა და **1921** წ. დამდევს საქართ. სავსებით მომწიფდა პირობები შეიარაღებული აჯანყების წარმატებით მოწყობისათვის. საქართ. მენშევიკური მთავრობის ანტისახელმწიფო საშინაო, და საგარეო პოლიტიკის შედევად რესპუბლიკა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა, საქართ. კპ(ბ) ცკ - მა მიიღო



გადაწყვეტილება მენშევიკური ხელისუფლების წინამდებრების შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. აჯანყება ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით დაიწყო 1921 წ. 11 თებერ. ლამით. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა საქართ. რევკომი, რომელშიც შევიდნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეშვილი, გ. კვირკველია, ა. ნაზარეტიანი და სხვ. 25 თებერვალს აჯანყებულ შეიარაღებულთა რაზმებმა და საქართ. რევკომის მოთხოვნით მათ დასახმარებლად მოსულმა წითელი არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს თბილისი... სოციალისტური რევოლუცია სწრაფად გავრცელდა მთელს საქართველოში... სოც. რევოლუციის გამარჯვებით დამთავრდა საქართ მშრომელების მრავალი წლის გამორცული ბრძოლა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. ქართ. ხალხმა დამხო მენშევიკური მთავრობა და შექმნა კეშმარიტად თავისუფლადი, სუვერენული ეროვნული სახელმწიფო". (ტომი 0 საქ ს ს რ. გვ. 95.)

გადაშალეთ საბჭოთა პერიოდის ნებისმიერი საქართ. ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც ეხება „გასაბჭოებას“, თქვენ ყველგან ნახავთ დაახლოებით ასეთ ტყუილებს. 70 წლის განმავლობაში თაობა თაობას ცვლილა, სიმართლე დავიწყებას ეძლოდა, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას კი ასეთ მონაჩრას ასწავლილნ. ასეთი სახელმძღვანელოების აგტორები ბევრი სახელგანთქმული ისტორიკონი და ენციკლოპედიისტია. მე არ მაქვს უფლება და არც მსურს ვიყო მათი მსაჯული. დაე, ლმერთმა შეუწიდოთ მათ სისუსტე ...

ეს არის აუტანელი, ამაზრზენი, აღმაშფოთებელი რუსული სახელმწიფო მაყრობელობისა. ის არა მხოლოდ მორჩილებას გაიძლებს, არამედ იმასაც, რომ იძახო: რუსეთმა ჩემი ქვეყანა გაათავისუფლა, ჩემი ხალხი გააბედნიერაო.

იქნება მითხარა: რუსები აქ არაფერ შუაში არიან, რადგან თქვენ ეხებით საბჭოთა პერიოდს, რომელიც არ იყო წმინდა რუსული ბუნებისო. მათ საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არც თვითმკყრობელური რუსეთი ყოფილა მამა აბაქამის ბატყანი. პირიქით, რომანოვების რუსეთი ისეთივე ცბიერი იყო, თუ მეტია არა, ვიდრე ლენინ-ბოლშევიკებისა.



საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც განვითარებული რუსეთის იმპერიის პოლიტიკა ანიჭებდა საუკუნების განვალობაში კონსტანტინეპოლისა და აზიის დიდი ნაწილის პყრობას, რომლის გასაღები სწორედ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მდებარეობდა. ალექსანდრე პირველის **1801** წ.

12 სექტემბრის მანიუსტრი, რომლითაც **15** საუკუნოვანი ბაგრატიონების დინასტია უქმდებოდა და უძველესი საქართველოს სახელმწიფო რუსეთის იმპერიის უბრალო გუბერნიად ხდებოდა, ამ ბოროტების გასამართლებლად რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს როდი ასახელებდა, არამედ უანგარო კაცომოვარეობას. ვითომც იმპერატორი „ქართველი ხალხის მუშიდობიანობისა და უშიშროებისათვის“ ზრუნავდა; ხოლო იმპერიის მატყუარა მოხელენი და ისტორიკოსები მუხანათურად ისევ ქართველ ელჩებსა და თვით უკვე განსვენებულ მეუე გიორგი მეთორმეტეს ადანაზაულებდენ: თითქოს ეს მომხდარიყოს მათი სურვილისა და თხოვნის თანახმად.

მკითხველო, მიაქციე ყურადღება დღევანდველ ანალოგიას: ამჟამათაც რუსეთი და მისი ინტერესები არაფერ შუაშია, ქართველები ულებერ ერთმანეთს და ანადგურებენ მათ სამშობლოს! ანალოგია კიდევ უფრო თვალსაჩინოა **1921** წ. ანექსიასთან. ჭემომოხმობილი ენციკლოპედიური ისტორიის მიხედვითაც ხომ არაფერ შუაში ყოფილა რუსეთი, „ქართველმა ხალხმა დაამხო მენშევიკური მთავრობა და შექმნა ჭეშმარიტად თავისუფალი, სუვერენული ეროვნული სახელმწიფო“ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დღევანდველ ამბებში, ჯერჯერობით მაინც, სიმართლეს დამცველი აღარავინ დაურჩა. რჩება შთაბეჭდილება, რომ მსოფლიოში გაბატონებული ძალები რუსი იმპერიალისტების თანამზრახველები გახდენ ქართველი ერის შინააღმდეგ.

1921 წლის ოქტომბერიდან მოყოლებული, მთელს საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლებზე ჩვენს უურნალში არაერთხელ ყოფილა საუბარი. ამის გარეშე ეს ჯერ კიდევ ბევრი დოკუმენტური მასალა არსებობს და ვისაც ამის დაწვრილებით შესწავლა აინტერესებს, შეუძლია სხვა წყაროს მიმართოს. აქ კი ჩვენ პირდაპირ გადავალთ ჩვენს მიმართვაზე:

დ ი ა წ ე რ ი ლ ო
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ზ ე *)

1990 წ. 28 ოქტომბერს და 12 ნოემბერს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, ჰემისარიტად დემოკრატიული საპარლამენტო აღჩევნები, 1921 წელში საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილია. აღჩევნებმა, 70 წლის განმავლობაში მმართველ კომუნისტურ პარტიას უწდობლობა გამოუცხადა (საქართ. კომპარტიამ მიიღო ხმების 29,58% და 64 მანდატი 246 შესაძლებელიდან) და ხელისუფლება გადასცა ანტიკომუნისტურ ეროვნული დამოუკიდებლობის პატრიოტულ პოლიტიკურ ძალებს. („მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკურმა ბლოკმა მიიღო 54%-ზე მეტი ხმა და 155 დეპუტატის ადგილი. დანარჩენი მანდატები წილად ხვდათ სახალხო ფრონტის პარტიასა და სამ სხვა პოლიტიკურ ფორმაციის ეროვნული დამოუკიდებლობის ბანაკიდან.)

ამჩინად აღჩეული ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, 14 ნოემბერს შეიკრიბა პირველ სესიაზე და მის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, ბატონი ზვიად გამსახურდია.

ბ. ზ. გამსახურდიას თავმჯდომარეობით რესპუბლიკის უზენაესმა საკრებულომ მოახდინა მნიშვნელოვანი გარდაქმნები. პირველ რიგში მან გააუქმა ქვეყნის საბჭოური სახელწოდება: „საქ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ და მას უწოდა უბრალოდ: „საქართველოს რესპუბლიკა“. დააწესა ე. წ. გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქართველო უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო და შეუდგა თანდათანბით ამ პერიოდის საქართ. რესპუბლიკის კონსტიტუციის გამომუშავებას. სხვა ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია კანონი საქართ. რესპუბლიკის პრეზიდენტის



თანამდებობის შემოლების თაობაზე. უზენასმა საბჭონიშვილი ზიდენტად აირჩია მისი თავმჯდომარე ბ. ზვიად გამსახურდის, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარედ ყოფილი თანაშემწევ, ბ. აკაკი ასათიანი და თანაშემწევ ბ. ნემო ბურჟულაძე.

გასული წლის 26 მაისს აღგილი პქნდა საპრეზიდენტო არჩევნებს, საქართ. რესპუბლიკის უმაღლეს პოსტი ერთმანეთს ეცილებოდა ექვსი კანდიდატი: ბბ-ბი ნოდარ ნათაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ვალერიან ალგაძე, ჯემალ მიქელაძე, ირაკლი შენგელაია და ზვიად გამსახურდია. ზვიად გამსახურდიამ მიიღო ხმების 87%, ვალერიან ალგაძემ 7%, დანარჩენმა უმნიშვნელო ჩამონაბა. ამ არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ზვიად გამსახურდია სარგებლობდა დიდი პოპულიარობით. (აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში შემოლებული იქნა საფრანგეთის მეცუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით).¹

უფრო აღრე პრეზიდენტის არჩევნებამდე საქართ. რესპუბლიკის მთავრობამ, გასულ წლის 31 მარტს მოაწყო ეროვნული რეფერენცუმი. კენტისყრაზე იდგა მარტივი და ნათელი კითხვა: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ რომელსაც დადებითად უკასუხა ამომრჩეველთა 99,08% - მა, წინააღმდეგს კი - 0,51% - მა. ამ მასიური მხარდაჭერით გამხნევებულმა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, 9 აპრილს, საზეიმო ვითარებაში საჯაროდ გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ცნობის თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ოჩიგანზაციას და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის მთავრობას.

ამ დღიდან იწყება ტრაგედია პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასიც და ქართველი ხალხისაც. საბჭოთა მთავრობამ მიხეილ გორგაბაჩვის პრეზიდენტობით არამც თუ არ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ მიმართა მუქარებსა და დაშინებებს, რომ მაგალითად, თუ საქართ. მთავრობა უარს არ



იტყოდა დამოუკიდებლობაზე და ხელს არ მოაწერდნენ არა განახლებულ ხელშეკრულებაზე, საქართველოს ჩამოაცილებდენ სამხრეთ ოსეთს, აფხაზეთს, აუჯანყებდენ სხვა ეროვნულ უმცირესობებს. ვერც ერთი ღირსეული სახელმწიფო მოღვაწე ვერ დაემორჩილებოდა ასე უღირს შანტაჟს და არც პრეზიდენტი გამსახურდია დაემორჩილა, პირიქით მან მტკიცედ განუცხადა პრეზიდენტ გორბაჩივს, რომ საქართველო რუსეთთან ხელს არ მოაწერდა არავითარ ხელშეკრულებას მანამ, სანამ ეს უკანასკნელი არ იცნობდა მის დამოუკიდებლობას. პრეზ. გამსახურდიას ამ პოზიციამ გადაწყვიტა მისი ბეჭი. ჯერ კიდევ მოსკოვის აგვისტოს პუტინმა მის პიროვნებას უნდობლობა გამოუცხადეს კრემლში და ყოველგვარი საშუალებით მისი საქართველოს ხელისუფლებიდან. ჩამოშორება გადაწყვიტეს. პუტინის დამარცხების შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა რუსეთში და თვით ხელისუფლებაც, მაგრამ უცვლელი დარჩა იმპერიალისტური საქმიანობა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რასაცვირველია, და კერძოთ საქართველოსა და ზეიად გამსახურდიას მიმართ.

ყველა ასთვის ცნობილია, რომ ორი სექტემბრიდან დაწყებული ყოველდღიურად იმართებოდა საპროცესტო მიტინგები, ზეიად გამსახურდიას პრეზიდენტობიდან გადადგომის ლოზუნგით, თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე, მთავრობის სასახლის მახლობლად. თუ ის კრემლის მითითებით არ ტარდებოდა, მისით მხოლოდ იგი სარგებლობდა და უნდა ითქვას, რომ შესანიშნავადაც სარგებლობდა. ამ მანიფესტაციების ფონზე, მისი დეზინფორმაცია მოხერხებულად განაწყობდა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ზეიად გამსახურდიას პიროვნების წინააღმდეგ. მოსკოვიდან გადმოცემული ამბები მსოფლიოს ვერაგულად შთააგონებდენ, რომ ზ. გამსახურდია იყო საშიში დიქტატორი, რომელიც მსოფლიოს მშვიდობას ემუქრებოდა, ის იყო ფაშისტი და სისხლიანი რასისტი, რომელიც უმოწყალოდ ხმავდა ოს ქალებს, ბავშვებს, მოხუცებულებს, აცვივებდა შულლსა და მტრობას საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს შორის და ა. შ.



შუა სექტემბრიდან, როცა, აღმავთ, საპროტესტო მოძრაობის გები საკმარისად არ იქნებოდა, კრემლმა მიმართა მ-ის ნაცად, შეიარაღებული აჯანყების გზას. 1921 წლშიაც ვითომ აჯანყება არ მოხდა საქართველოში? იმ განსხვავებით, რომ ამჟამად აჯანყებას ნიადაგი მომზადებული დაუხვდა: პუტინისტ გენერლების რისხვის დასამშვიდებლად პრეზიდენტ გამსახურდიამ ეროვნული დაცვის სამინისტრო გაიაჭმა, გვარდიოელები შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიყვანა, რამაც ისინი გაარაწყენა. კრემლის საიდუმლო სამსახურიდან გამომდინარე ცბიერმა ხმებმა გვარდიოელები, რომელთაც საქ-ხელისუფლება უნდა დაეცვათ, მის შინააღმდეგ ააჯანყეს. ამრიგად, შეიარაღებულ აჯანყებასაც სათავე კრემლში ჰქონდა. დანარჩენი კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის რუსულმა ჯარებმა გააკეთეს, ეს მათ შეაიარალეს ყოველგვარი საომარი საშუალებებით, მოამარავეს სპეციალისტებით აჯანყებული გვარდიოელები და პატიმრობიდან განთავისუფლებული კრიმინელები და 22 დეკემბრიდან შეტევაზე გაუშვეს ზვიად გამსახურდიას მთავრობის დასამხობად. (ამ თარიღსაც ყურადღება უნდა მიექცეს. გასულ წლის ბოლოს კრემლში მომზდარ საიდუმლო გარიგების თანახმად სსრკ უქმდებოდა; ახალი წლიდან ბორის ელცინის მმართველობას მიხეილ გორბაჩივის მართველობა უნდა შეეცვალა და ამ უკანასკნელს მანამდე მისი დაწყებული საქმიანობა უნდა დაემთავრებია. სავარაუდებელია: ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობის ოპერაციას თავიდან ბოლომდე მფარველობდა და ზედამხედველობდა მიხეილ გორბაჩივი.)

ა. წ. ექვს იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა, მცირე-რიცხვან ერთგულ თანამებრძოლების და ოჯახის შევრების თანხელებით, გაარღვია ალყა და თავი შეაფარა ჯერ მეზობელ სომხეთს, 16. იანვრიდან დაბრუნდა დასავლეთ საქართ-ველში, კერძოთ მამამისის, სახელოვანი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მშობლიურ კუთხე სამეგრელოში, სადაც იგი, აღმავთ სიფრთხილის მიზეზით, ბუნებაში გაუჩინარდა; ხოლო მისმა მომხრეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს უიარაღო მანიფესტაციები და პარტიზანული შეიარაღებული ბრძოლები.

დევნილი პრეზიდენტი სამღენჯერმე ფარულად შეცუდნებულ
რნალისტებს, ერთხელ ოფიციალური ვიზიტითაც ეწვია ჩეჩენე-
თის მთავრობას და გროვნოში მან და ჩეჩენეთის პრეზიდენტ-
მა ჯოხარ დუდაევმა ერთობლივი პრესკონფერენციაც გამარ-
თეს. არაპირდაპირ მიღებული ცნობებით, ზევიად გამსახურდია
არ ფიქრობს გადადგეს ხელისუფლებიდან, რომელიც მას ქარ-
თველმა ხალხმა მიანდო. ის აგრძელებს ბრძოლას, რასაკვირვე-
ლია, უფლებრივ ბრძოლას, მისი კანონიერი ხელისუფლების
აღსადგენად. მას ეჭვი არ ეპარება, რომ აჯანყება მას რუ-
სეთის იმპერიალიზმია მოუწყო, რაღანაც მას დამოუკიდებლ-
ობა სურდა. ის აგრეთვე დარწმუნებულია, რომ ამ შეთქმუ-
ლებაში ქართველებიდან მთავარი როლი შეასრულა ედუარდ
შევარდნაძემ.

კანონიერი პრეზიდენტის გაძევების შემდეგ, აჯანყებულე-
ბმაც შექმნეს ქვეყნის სამართავი ორგანოები: პირველი,
„სამხედრო საბჭო“, რომელიც მონოპოლიას აცხადებს ძალა-
უფლებაზე, მასში შევრებად შევიდენ აჯანყების მეთაურე-
ბი: თენიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი; და
მეორე „დროებითი მთავრობა“ თენგიზ სიგუას თავმჯდომარე-
ობით. ვინაიდან აჯანყების თავგაცებს პარლამენტი არ გაი-
ჩნიათ, მის მაგივრად დროებით შექმნეს პარტიების წარმო-
მადგენლების ე. წ. „საკონსულტაციო საბჭო“.

ეჭვს მარტს, დიდი ამბით, თბილისში ჩავიდა შევარდნაძე.
მან როგორც მოსკოვში ისე თბილისში უურნალისტებს განუ-
ცხადა, რომ არავითარი როლი არ მიუძღვის საქართველოს
ამბებში, ის დაინტერესებული არ არის პრეზიდენტის თანა-
მდებობით და არც ფიქრობს, რომ მისი კანდიდატურა წამო-
აყენოს, არამედ იგი დაბრუნდა სამშობლოში, რომ მას ემ-
სახუროს რაშიდაც კი მას გამოადგება. სამი დღის შემდეგ
გამოცხადდა, რომ შევარდნაძე აირჩიეს ახლად შექმნილ ორ-
განოს, ე. წ. „სახელმწიფო საბჭოს“ თავმჯდომარედო. მოს-
კოვიდან მომდინარე ცნობები ისეთ შთაბეჭდილებას სტოკებენ,
რომ თითქოს ამით შევარდნაძეს უზენაესი ძალაუფლება ეპ-
ყრას, რაც ძნელი წარმოსადგენია, რადგანაც „სახელმწიფო

საბჭო“ შევარდნაძის სათავეში ჩადგომამდეც არსებობდა არა გამომადგრენების გამოსახურდის მოწინააღმდეგების პარტიების წარმომადგენლებისგან შედგებოდა და ხელისუფლების ორგანოს კი არ წარმოადგენდა, არამედ – საკონსულტაციოს, სამრჩევლებლოს. შევარდნაძის პიროვნებამ მას შეიძლება მეტი საერთაშორისო გამოძახილი შეძინოს, მაგრამ ეს, უზურპაციის გარეშე, მის ბუნებას და ხასიათს ვერ შეცვლის, აღმასრულებელ ხელისუფლების როლს ვერ გასწევს. რაც მთავარია, ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკისა და მოქმედების უფლება არა აქვს.

ძალით გაძევებული პრეზიდენტის სასარგებლო მანანიფესტაციები, პარტიზანული გამოსვლები, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, გაფიცვები სულ უფრო ძლიერდება, ანტაგონისტურ ძალთა ხელიდან ხელში გადადიან მთელი პროვინციები, ქალაქები, რაიონები, ისედაც ჩამკვდარი მეურნეობა ახლა სრულიად მოშლილი და დეზორგანიზებულია. საქართველოდას გაუკაცრიელების, კრიმინელობის, მესისხელეობის, სრული საშინელი. შიმშილიანობის კატასტროფის წინაშე.

დასკვნა

მართალია, რომ ამ ოში ქართველები ხოცავდენ ერთმანეთს, მაგრამ, რაც არ უნდა პარადოქსულიად არ გვეჩვენოს, ის არ ყოფილა მათი შინაური, სამოქალაქო ომი; ისინი როგორც მთელი მსოფლიო, შეცდომაში შეიყვანა რუსულმა ცრუ, მაკიაველურმა პროპაგანდამ. ომის ნამდვილი გამომწვევი, გამჩიალებელი და სარგებლობის მომლოდინე იყო რუსული იმპერიალიზმი, რომელსაც თავი კრემლში ჰქონდა. მოვლენების ხასიათი და მასშტაბი, მათი ობიექტიური ანალიზი უმჯობელად მეტყველებს ამ განცხადების სასარგებლოდ:

1. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეეძლო, მსოფლიო მასშტაბით განეხორციელებია ფარული შეთქმულება საქართ. რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. მხოლოდ მის საპროპაგანდო საშუალებებს შესწევდა ძალა, რომ მსოფლიო საზოგადოება განეწყო. მის წინააღმდეგ ისე, რომ მის დასაცავად კაცი არ აღმოჩნდა ჩეცნს პლანეტაზე.

2. მხოლოდ კრემლს შეეძლო, რომ სატელეფონო და საფო-

სტო ურთიერთობა შეეწყვიტა საქართველოსა და პირების შორის.

3. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეეძლო, რომ საქართველოსთვის, არა მარტო საარსებო საკვები პროცესები, არა-მედ საწვავი ენერგიაც აღევეოთა ხანგრძლივად და მით ქვეყნის სრული ეკონომიკური ასფიქსია გამოეწვია.

და ბოლოს 4. მხოლოდ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით შეეძლო წითელი არმიის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ შტაბს, რომ საომარი იარაღი დაერჩივებია აჯანყებულთათვის და მომსახურე სპეციალისტებით მოემარაგებია აჯანყება. ამ ფაქტების დამალვა აღარ შეიძლებოდა და იძულებული იყვნენ, ცალყბად ელიარებიათ.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, ან მთლად ბრმა, ან სიმართლისა და სინამდვილის აღმის აღერგია უნდა გვირდეს, რომ რესული იმპერიალიზმის ხელი ვერ დაინახო საქართველოს ტრადიციაში.

საქართველოს პირუთვნელი ისტორია, „ტართლის ცხოვრების“ გავრძელება კი იყტვის, რომ ეს ომი იყო ისეთივე შენიდბული იმპერიალისტური ომი, როგორი შენიდბული იმპერიალისტური სახელმწიფოც იყო საბჭოთა კავშირი.

გიორგი წერეთელი, უურნალ „გუშაგის“
რედ - რი, სალ. ქ. შ. უ. საზგ - ების თავმჯდომარე.
ნ. ე. შენგელია-წერეთლისა, მდივანი.

პარიზი 17 მარტი 1992 წელი.

*) ეს დოკუმენტი დაეგზავნათ:

- საფრანგეთის პრეზიდენტს, ბ-ნ ფრანსუა მიტერანს,
- საფ. საგარეო საქმეთა მინისტრს, ბ-ნ როლან დიუმას,
- საფ. პარლამენტის თ-რეს, ბ-ნ ანრი ემანუელის,
- საფ. სენატის თ-რეს, ბ-ნ ალენ პოერს,
- ევროპის 12 სახელმწიფოს ერთობის კომისიის თ-რეს,
- ბ-ნ უკ დელორს,
- გ. ე. მ. გენ. მდივანს, ბ-ნ ბუტროს ბუტროს გალის,



- დე გოლის პარტ. თ-რე და პარიზის მერს ბ. უ. ურავაშვილი,
— საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს, ბ. ვ. უ. დესცენს,
— საღ. სენატის საგ. საქმეთა კომისიის თ-რეს ბ. უ. ლეკანუეს,
— საფ. ერ. საკრებულოს ს. ს. კ-ის თავ-რეს ბ. მ. ვოზელს,
— ევროპის საბჭოს გენ. სამდივნოს ქ. სტრასბურგში,
— ევროპის პარლამენტის თ-რეს, ბ. ანრიკ ბარონ კრესპოს,
— ევროპის ერთობის კომისიის თ-რის თანაშემწეს, ბ-ნ ფილ-
იქ მარია პანდოლფის,
— იგივე კომისიის მეორე თანაშემწეს, ბ. ფრანც ანდრიენსენს,
— იმავე ორგანიზმის გენ. მდივანს, ბ. დავიდ ვილიამსონს,
— „ოტან“ -ს გენერალურ მდივანს, ბრიუსელში,
— ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, სტრასბურგში,
— გერმანიის ჩრდილოეთი კანცლერს, ბ. ჰერმან კოპლს,
— ამერიკის შ. შტატების პრეზიდენტს, სახ. მდივანს, სენატს
და სხვებს ინგლისურად, უფრო ზუსტად, ამერიკულად თარ-
გმნილი ტექსტი.
- რეიტერის სააგენტოს პარიზში,
— ფრანს პრესის სააგენტოს, პარიზში,
— „გაეროს“ საინფორმაციო ცენტრს პარიზში.

* * *

ადამიანის პირუტყვობიდან დათავებრივობამდე ამმაღლებელი,

მისი ხსნისთვის ჯვარს ცმული

ქრისტე აღსდგა მკვდრეთი!

სარწმუნოებითა და სასოებით აღიმართენით!

ბოიკოტი და დაუმორჩილებლობა

მიზართვა ქართველი ერისადმი

ძვირფასო თანამდებულები! იმპერიული ძალების მიერ ინსპირირებულმა პუტინმა უფიდესი უბედურება დაატეხა სა-ქართველოს. პუტინისტები ცდილობენ ხელისუფლების უზურ-პრეზენტაციას, მთავრობის ჩამოყალიბებას, თუმცა მათი ყოველგვა-რი ქშედება უკანონოა და ანტიკონსტიტუციური. ა.წ. ექვს იანვარს მე, საქართ. კანონიერმა პრეზიდენტმა და ხელისუფლების ცხენება, წარმომადგენლებმა დაგტოვეთ უზენაესი საბჭოს შენობა, რათა ცლარ გაგრძელებულიყო ნგრევა და სისხლისღრა. თუმცა ადგილის დათმობაზ ჩვენს მიერ, არ ნიშნავს პოზიციის დათმობაზ. ჩვენ კვლავ წარმოგადგენთ საქართ. კანონიერ ხე-ლისუფლებას: მე არ გამიყვათგბია განცხადება გადადგომის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართ. ჟექმნილმა ხუნტამ პირ-გელსავე დღეს „ვეაჩერა“ კონსტიტუცია და „დაითხოვა“ პა-რლამენტი, ამჟამად იგი ცდილობს დეპუტატების დაშინებას და სესიის მოწვევას. რათა მიაღებინოს მას უკანონო გადაწყვე-ტილებები: პარლამენტის მუშაობას შექმნილ სიტუაციაში არ ექნება არაფიქტო აზრი. მოვუწოდებ დეპუტატებს: არ დაქ-ვემდებარონ ხუნტის შანტაჟს; არ გამოტხადდენ სესიაზე თუ შეკრებაზე, არ შეირცხებინონ ლავის წინაშე, და ცუ ხუ-ნტამ მაინც მოახერხა შეთი ნაწილის შეკრება, ეს იქნება ცრუ სესია, რომლის არც ერთ გადაწყვეტილებას არ ექნება ძალა. ქართ. ერთ არ უნდა დაემორჩილოს სისხლიან კრიმი-ნალურ ხუნტას, უნდა გახსილოთ მისი ყოველგვარი დანაშაუ-ლი კრებებზე, მიტინგებზე, თავყრილობებზე. შევქმნათ წინა-აღმდეგობების შტაბები, საგაფიცო კომიტეტები, სახალხო რაზმები.

პუტინისტების რეაქცია – ბოიკოტი და დაუმორჩილებლობა!

საქართველო გაიმარჯვება!

ს ა. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

გიმართვა თბილისის მოსახლეობას
ძვირფასო თბილისელებო!



მიუჩედავად იმისა, რომ ანტიქართული ძალები ყოველწლიურად ცდილობდენ დედათბილის მოსწყვიტონ საქართ. ძირდველი კუთხე - კოლხეთი, მოგვაქციონ საინფორმაციო ბლოკადაში, აგრცელებენ ათასგვარ უსაზიზღრეს ცილისწამებას; სიცრუეს, დეზინფორმაციას, დარწმუნებული იყავით, რომ კოლხეთი დღესაც ურყევად დგას ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შეუცალ ბასტიონად. კოლხეთი გადაიქცა მთელი საქართ. ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ეპიცენტრად. უდიდეს პატრიოტულ აღტკინებას და რწმენას გვმატებს ის, რომ დედაქალაქი ფეხში დგას. კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი ძალების აზგირთება კულმინაციას აღწევს. ჩვენ ვიცით და მოწმენი ვართ იმისა, რომ თქვენ არ უშინდებით ათასნაირ ტერორისტებას, პროვოკაციას, სიძეულეს და მშეიღებიანი საპროცესტო მანიფესტაციებით, მასიური გამოსკლებით, გაფიტვებით და სხვა პოლიტიკური საშუალებებით დაუმორჩილებლობას უცხადებთ პოლიტიკურ ავანტიურისტთა შეიარაღებულ ხროვას.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ სწორად გაიგებთ ზუგდიდში ეროვნული დაუმორჩილებლობის აუსაზღვრის კომიტეტის მიერ, განხორციელებულ საპროცესტო აქციებს. სრულ ბლოკადაშია საქართველოს პორტები, რკანებზე, შეწყვეტილია ელექტროენერგიის მიწოდება, შეჩერებულია ყველა ტეირითი, რომელიც ფაქტურად სიგუას ბანდას ჩაუერდება, ხელში. ბუნებრივია, რომ ასეთი ღონისძიებებით თქვენ ზარალდებით, მაგრამ დამოუკიდებლობის და ოაგისუფლებისათვის ბრძოლა მსხვერპლს რომ მოითხოვს, ეს თქვენც კარგად იცით. ეს მსხვერპლი ჩვენ ახლაც უნდა გავიღოთ, რათა დანართურისტებს არ მიგცეთ საშუალება ამ ტეირისთ სპეციალისტებისა და პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებისა. დარწმუნებული იყავით, რომ ყველა ეს ტეირითი ხელშეღებელი იქნება, და საქართველოში

კანონიერი ხელისუფლების აღმდენისთანავე ქართველი ხალხის კუთხით განვითარება გაძლიერდა. ნურავინ ნუ დაიჯერებთ, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი იზოლარებული იყოს საქართველოში რთული დაუმორჩილებლობის პროცესებისაგან, პრინციპით, იგი ხელმძღვანელობს ამ პროცესებს. მყარდება კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეწების საბრძოლმაციო სააგენტოებთან

ს. ეროვნ. დაუმორჩილებლობის კონტეტი

(გაზ. „ქართული აზრი“ №· 26 იანვარი 1992 წ.)

იანვრის კოლეჯი ამბები

ოსელიანის სამხედრო დაჯგუფებამ ოც იანვარს შეუტია ახაშის მისადგომებს, სადაც იყო კანონიერი ხელისუფლების დამცველთა პიკეტი. გამორყენეს არტილერია, კანონიერების დამცველთა შხრიდან ლაილუპა ლრი ადამიანი, დაჭრილია. 7. ამის შემდეგ აღებულ იქმნა აბაშა, იმაგვ ლამეს – სენაკი; მეტი შეტაკება არ მომხდარა. ზუგდიდისაკენ წასკლა პუტ-ჩისტებმა ვერ გაბეჭდეს. აბაშაში და სენაკში გამოცხადებულია დაუმორჩილებლობა. ხალხი უშიშრად გამოდის მიტინგებზე და მანიფესტაციებზე. პუტჩისტები ძარცვავენ ხალხს, არის გაუპატიურების შემთხვევები.

ფოთისა და ზუგდიდის მცირდომებთან აფეთქებულია ხილები. იოსელიანის რაზმები. შეიარაღებულია უახლესი საბჭოო სამხედრო ტექნიკით, ჰყავს ჯავშანტრანსპორტიორები, პაუზილები, ტანკსაჭინააღმდეგო ქვემეხი, ნაღმებისატყორცნები, რაკეტები. ისინი მარაგდებიან საბჭოო სამხედრო ბაზებიდან. მიუხედავად ამისა ფოთში და ზუგდიდში მათი შესვლა შეუძლებელია. ამიტომ პუტჩისტები ცდილობენ მოელაპარაკონ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს და ამასთანავე დაუსწრებლად ნიშნავენ თავიანთ რწმუნებულებს: ფოთში დანიშნულია კუნძულების კოფილი ჩაკომის. მდივანი და აღმასკობის თავმჯდომარე, ხობში - გერგაია, ოფიციალურად რეგისტრირებული ნარკომანი, სენაკში - კარტოზია, ყოფილი ჩაიკომის მდივანი. ხობში პუ-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
გენერალური

ტბის ტექნიკური მუზეუმის მიერთების (ქაშაბიას) საფლავი, რომელიც დაიღუპა თბილისში სნაიპერის ტყვიით. მაგრამ მას ეს მიღვალებული, გაძარცვეს (სხვა ნივთებით ერთად მოხსნეს რქიმის ჯვარი). (გარ. „ქართული აზრის“ ინდორმაცია.)

მდელვარე დღეების ქრონიკა

კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერ ქართველთა ერთმა ჯგუფმა 1992 წლის ხუთ იანვარს თბილისის რკინიგზის სადგურის შენობაში დაიწყო მშევრული აქცია და 15 იანვარს გავოაცხადა უიმშილობა. საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად მოშიმშილები საჭიროებენ სამედიცინო ზედამხედველობას, რისთვისაც მათ მიმართეს რკინიგზის სამედიცინო პუნქტს, ქალაქის სასწრაფო დახმარებას, ჯანმრთელობის მინისტრის ამედინდელ მოაღილეს-ჯორბენაქეს. თუმცა უშედეგოდ, შიმშილობის დროს არც ერთი სასწრაფო დახმარების მანქანა აქციის მონაწილეებთან არ მისულა. მშვიდობიან აქციაში აქ მონაწილეობდენ წმინდა ილია მართლის საზოგადოება, ჰელინკის კავშირი და გრგვალი მაგიდის სხვა წევრები, რომლებიც განლაგებული იყვნენ სადგურის პირველ სართულზე, მეორეზე კი მოთავსდენ სტუდენტები. 18 იანვარს, ღამით, ორი ჯავშანტრანსპორტიორითა და შეიარაღებული რაზმით განხორციელდა თავდასხმა შიმშილობის აქციის მონაწილეებზე. ტკიების ჯარით ჩაამსხვრიეს შენობის მინები, შემოცვევდენ საფურის პირველ სართულზე და აგტომბრების აღნდახების ცემით გამოგვყარეს აგარეთ, გაცემის და მიტინგი. დღაგვი საგნის დარტყმით დაშავდა რემდენიც ჩვენი შეგობარი: გოგონებს წიხლებს მუცელში ურტყმდნენ და ისე ყრიდნენ მანქანებში...

19 იანვარს აქცია გაგრძელდა, ხელახლა დაჯდნენ მოშიმშილენი. 12 საათზე გაიმართა მიტინგი. დახლოებით ოცი წუთის შემდგრე თაგარ მეფის გამზირიდან სადგურის მოედანზე შემოვარდა ერთი სახანძრო მანქანა, ჯავშანტრანსპორტი-

ორი და 4. ამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა შეიარაღებული ხალხით. მომიტინგეები ჯაგუანტრანსპორტის გადაცემით
და ცოცხალი კედელი აღმარტოვს. ხდები მსუბუქი ავტომან-
ქანებისკენ უშიშრალ დაძრია, რათა ალყაში მოექციათ ის-
ინი. იგრძნეს რა ალყის საშიშროება, უიარაღო ხალხის რი-
სხვით დაფეხებული შეიარაღებული შეომრები ჰაერში სროლით
გასცილდნენ საღვურის ტერიტორიას.

აქციის მონაწილე მოშიმშილების მოვითხოვთ: 1. ეპონიკერი ხელისულების იმილიაში დაბრუნებას, 2. ადამიანის უფლე-
ბათა დაცვას, 3. საქართველოს ტერიტორიის ხელშეუხებლ-
ობას, 4. პოლიტიკატიმრების განთავისუფლებას. (ეს მოხვე-
ნა დაპატიმრებულ დეპუტატებს ეხება) – „ქ. აზრი“ № 1..

*** ***

8 წლის დუმილის შემდგამ

ბატონ ვიქტორ დომუხოვსკიას დაკითხვაზე თქვენმა პასუხებმა,
ბ-ნო ედუარდ, ლრმა ჭრილობები განმიახლეს და ეძღარ შევ-
ძელი. ჩვა წლის გმინვის კმლავ მდუმარედ შეკავება. ერთ-
ურთ თქვენს ინტერვიუში განაცხადეთ: თქვენც გაქვთ წარს-
ულში ზოგიერთი ისეთი შეცდომა დაშვებული, რომელსაც ახ-
ლა ნანიათ. ჩაც არ უნდა უკუთური საქმე, თუ ცოდვაც პქ-
ნდეს კაცს ჩადენილი, მონანიება, მით უმეტეს გულწრფელი,
ყოველიცის აკეთილშობილებს ცოდვის ჩამდენს. მეგონა, რომ
წარსულის შეცდომებში პირებელ რიცხვი, აღბათ, გულისხმობდ-
ით თვითმფრინავის გაცაცხის მცდელი ქართველი ახალგაზრ-
დებისადმი თქვენს უსასტიკეს ანგარიშსწორებას. – მათ სტულ
ჭიზიკიურ განადგურებას. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად თქვენი
უდიდესი ფერისცვალებისა, პარტიული დიქტატისა და ტერ-
ლიტარული რეჟიმის მეზღვარი დამცველ-ზემოქანებლიდან საბ-
ჭოვთის გარდაქმნების, დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის
მეღროშემდე. ამ საკითხში თქვენ ისევ, ის ამხ. შევარდნაძე
დარჩით, რაც ცყაბით საქართველოში მოღვაწეობისას. სამწუხა-
როა, მაგრამ ფაქტია..

მე, რასაკვირველია, შორს ვარ იმ ჯზრისაგან, რომ ის
ახალგაზრდები, მათ შორის ჩემი შვილებიც, დამნაშაულებული
არ ვაღიარო. სრულიად უდანაშაულო იყ მხოლოდ მღვ-
დელი თ. ჩიხლაძე, რომლის დახვრეტის კი არა, საერთოდ
დროებით პატიმრობაში აყვანისავისაც კი არ გქონდათ
იურიდიული საფუძველი: იგი არამედ თუ თვითმფრინავში არ
ყოფილა, იმ. დროს თბილის ჭიდავიც კი არ იმყოფებოდა და არც
იცოდა, თუ ეს აქცია უნდა მომხდარიყო. ჩვენ გვაქვს პრ-
ეტენზია მხოლოდ საჯაროს უკიდურესი სიმკაცრისა. და ძი-
ების, სასამართლო პროცესის, მშობლებისადმი რეპრესიების
წარმოების ისეთი ფორმით ჩატარების გამო, რაც სცილდება
იურიდიული, მორცეური, თუ უბრალოდ ელემენტარული ადამ-
იანობის კოველგვარი კანონიერების ფარგლებს. ამას ემატე-
ბა უამრავი დარღვევა და დანაშაული, ჩადენილი თვით სახე-
ლმწიფო ორგანოების მიერ – მფრინავების, სუკისა და საჯარ-
ისო შენატრების მხრივ. და ეს კველაფერი კეთდებოდა. მხო-
ლოდ თქვენი უშუალო, ერთიანოვნული ინიციატივითა და ხე-
ლმძღვანელობით. იმ დროს, როდესაც საქართველოში თქვენი
ნებართვის გარეშე ჩიტიც უერ აფრინდებოდა, თვითმფრინავი
გაფრინდებოდა?! ცეკის პირები მდივანს, რომელიც სტადიონი-
ს ბანალურად კონფლიქტის ვოგვაჩებას უშუალოდ თავის თა-
ვზე იღებს; რა გასაკირია, ასეთ ტრაგიკულ აქციასთან ბრ-
ძოლის საქმისათვისაც პირადად ეხელმძღვანელი. თავისთავად
ამაში. შეიძლება რაოვერი იყოს არაჩვეულებრივი, რომ ხელ-
მძღვანელობა არ წარმართოულიყო. ასე უკულმართად.

თქვენ კარგად მოეხსენებათ, რომ სასჯელის უკიდურესი
ზომა – სიკეთილის დასჯა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, როდესაც არ არსებობს სასჯელის ჩაიმე. შემამსუბუქ-
ბელი ფარემოება, ანდა დანაშაული ჩადენილია წინასწარ გა-
ნურახული განსაკუთრებული სისასტრით. მათ არ ჰქონდათ
არავითარი. სხვა მოთხოვნა, გარდა მათი გადაყვანისა ბათუმ-
იდან იქვე 15 კილომეტრში. მათ ერთდერთი მფრინავი შარ-
ბათიანი (კახამ) დაჭრეს და ისიც მკლავში. დანარჩენები, რო-



გორც თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები, ასევე მდგარის მდგრადი გადასახლების ან დაჭრილები იყვნენ თვით მფრინავებისა და ჯარისკაცების მიერ. თვითმფრინავი გარედან იყო დაცხრილული და არა შეგნიდან, საღონისკენ მფრინავები ისროლნენ და არა ბიჭები! რაც შეეხება გვეგძას და პატას, მათ, საერთოდ, ერთი გასრულაც კი არ მოუხდენიათ! არცერთი (კახა, პაარა, გვეგა) არასოდეს წინათ ნასამართლები არ ყოფილია, სამჩვენი დაპატიმრებამდე ეწეოდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას და მათ ყველა ბრწყინვალედ ახასიათებდა. ამრიგად, ყველა შემამსუბუქებელი გარემოება არსებობდა იმისათვის, რომ მათ მიმართ სასჯელის უგალლები ზომი არ ყოფილიყო გამოიწენებული. მით უმეტეს, ერთი ცყვიდულისერთა (გვეგა კობახიძე), ხოლო ძმების—კახა და პაარა ივერიელების გარდა, მათ მშობლებს სხვა შვილები არ ჰყავდათ. იმ რატომ არის, ბ-ნო ცდუარდ, სამწუხარო, რომ თქვენ ახლაც კი არ გამოიჭვამთ, სინანულს თქვენი ეგზომი არაკუმანური და უკანონო ქმედებათ. გამო, და რაც კიდევ უფრო საოცარია, პირიქით, მიგაჩნიათ, რომ თქვენ ყოველთვის კანონიერად იქცეოლით, სასამართლოს საქმეებში თითქას არასედეს არ ერეოდით. ასეთი აშკარა, მტკნარი სიცრუე უბრალოდ არ გვეკადრებათ, ბ-ნო ედუარდ. იმ დროს, როდესაც საერთოდ ყველაზე პარტიული დიქტატით წყდებოდა, თქვენ იმ პერიოდის ტოტალიტარული რეჟიმის კლასიკური პირმშო და მმართველი, ნურუ მართლა ხუმრობრის გარეშე აცხადებოთ, რომ ყოველთვის კანონით ხელმძღვანელობდით და სასამართლო პროცესებში მართლაც არ ერეოდით?!

საქართველოში თქვენი მოლგაწერიბის იარგად მცოდნეთათვის ის კი არ არის საეჭვო ან გასაძვრირი, რომ თქვენი მმართველობის პერიოდში საქართველოში არცერთი კაცი არ დახვრეტილ რევენი ნებასურგილის გარეშე, ჩვენს გაოცების უფრო ის იწვევდა, რომ თქვენი სურვილის საწინააღმდეგო ზოგიერთი პიროვნება როგორ სასწაულუბრივად გადაუჩარჩა.



სიკვდილით დასჯას.

თვითმფრინავის გატაცების მცდელობასთან დაკავშირდული მასალები არ გამოიძეგმდება, რომ მეში არცერთი რგოლი, არც ერთი პუნქტი არ მოიძებნება, რომ კანონების აშკარა დამახინ ჯებადარი ვევევების გარეშე არ წარმართულიყოს, რამაც მრავლის მომსწრე გამოცდილ იურისტს, იუსტიციის ყოფილ მინისტრს, ამ საქმის შემსწავლის პარლამენტის სპეციალური კომისიის წევრს, პ-ნ ა. უშანაშვილს ათქმევინა, რომ მსგავსი რამ მას არ უნახავს, არასოდეს სმენია და არც წაუკითხავს. ასეთი მასშტაბის დარღვევები აღმატება ერთი ორგანიზაციის პიროვნების შესაძლებლობას. იქნება იგი სუკის თანამშრომელი, გამომძიებელი, თუ სხვა. რა თქმა უნდა, იგი ნაყოფია ისეთი დიდი ენერგიის მქნე პიროვნების ძალის ხმელეთისა, როგორიც ბრძანდებით თქვენ, პ-ნ ედუარდ. სწორედ თქვენი დიდი მცდელობის შეავევია ის სასჯელი, რომელიც უურნალისტ მანანა კარტოზიას სიტყვებით რომ ვთქვათ, არანაკლებ შემაძრწუნებელია, ვიდრე დანაშაული.

უამრავი ანალოგიური ფაქტიდან შეგახსენებთ მხოლოდ ზოგიერთს. ისინი კომენტარს არ საჭიროებს, ბავშვიც კი მიხვდება, თუ ვისი დიქტატით ხორციელდებოდა ყოველივე.

თვითმფრინავის გატაცების მცდელობა მოხდა **1983 წლის 18 ნოემბერს.** **1983 წ. 25 ნოემბერს** (ერთი კვირის შემდეგ) შედგა პარტიის თბილისის ბიუროს სპეც. გაფართოებული სხდომა, სადაც ჩემთან ყოველგვარი წინასწარი გასუბრების, ან ჩემნი ინსტიტუტის (ექიმთა დახხლოვნების თბილისის ინსტიტუტი) კრებაზე განხილვის გარეშე წინადადება მისცეს ინსტიტუტის რექტორატს ჩემი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, ერთადერთი ბრალდებით, რომ ჩემი შვილები იყვნენ თვითმფრინავის გამტაცებელთა შორის. რაიმე კონკრეტული ბრალდება, თუნდაც ის, რომ მე შვილების აღზრდაში დავუშვი შეცდომა, არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, რადგან თვითმფრინავის გატაცების მცდელობამდე მათი ბიოგრაფია და პიროვნული მახ ასიათებლები იყო სრულიად უზალო, ისევე როგორც მშობლების აღმზრდელობითი საჭირობა. **1983 წ. 2 დეკემბერს** (ე. ი. ორი კვირის შემდეგ) ინსტიტუტში დაიწერა ბრძანება ჩემი კათედრის გამგის მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ, ყოველგვარი მოტივის გარეშე. მოგეხსენებათ, რომ კათედრის გამგე არ-



ჩევით თანამცუბობა და სწორედ იმ წელს ხელახლა უმყავისარჩეო ული ინსტრუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ხუთი წლის ვადით. ეს საბჭოთა სინამდვილისთვისაც კი უაღრესად უკანონო და სკანდალური აქცია იყო, რადგან პირადად ჩემდამი, როგორც უკვე აღვნიშნე, არავითარი პრეტენზია არ ყოფილა და არც სამეცნიერო საბჭოზე არ განხილულა ჩემი განთავისუფლების საკითხი. ერთი, რომ სრულწლოვანი შვილების საქციელზე დამობლები პასუხს არ ავებენ, თანაც ჩემი შვილების დამნაშავეობაც კი არ იყო ჯერ დადგენილი (მათი სასამართლო პროცესი ცხრა თვის შემდეგ შედგა!) თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ინსტიტუტი იყო საკაგშირო დაქვემდებარების, რომელსაც არ მიაჩნდა მართებულად ჩემი განთავისუფლება, ბუნებრივია, მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დიქტატით იყო შესაძლებელი ამ თვითნებური აქციის განხორცილება.

თქვენ ყველაფერი გააკეთეთ ბ-ნო ედუარდ, იმისთვის, რომ თვითმფრინავის გამტაცებლები ბანდიტებად ჩაგეთვალათ. რატომ არ გსურდათ ჩვენს შვილებს შევხვედროდით, ადვილი გასაგებია, რადგან თქვენ არ გინდოდათ, ჩვენ სრული სიმართლე გვცოდნდა მომხდარი ამბების შესახებ, მაგრამ არ უფლების ძალით ერთხელაც არ გვაჩვენეთ ჩვენი შვილები?! კიდევ მეტი, წერილის წერის უფლებაც კი არ მიეცით მათ, არც სასამართლომდე, არც მის შემდეგ ამის შემდეგ თქვენ გყოფნით სინიდისი განაცხადოთ, რომ ეს თვით სამართლდამცავი ორგანოების მიერ კეთდებოდა თქვენს ჩატრავლად?! ეს მხოლოდ პარტიული დიქტატის, თქვენს მიერ განუკითხავი თვითნებობის გამოყენების შედეგად ხდებოდა.

გარდა ოჯახის წევრებისა, არც ერთ ახლობელს – ბიძებს, დედებს, ბიძაშვილებს, კოლეგებს, მეზობლებს, არავის არ მიეცით სასამართლოზე დასწრების უფლება. სამღვდელოების ვერცერთი წარმომადგენერლი ვერ დაესწრო პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ მღვდელს ასამართლებდნენ. სასამართლო პროცესი ისე მიმდინარეობდა, რომ არამც თუ დარჩაზში, იმ ქუჩაშიც კი წეუძღებელი იყო შესვლა სპეციალური საშვის გარეშე. რაიონებს, სხვადასხვა დაწესებულებებს ურიგებდენ მხოლოდ ერთჯერადად დასწრების საშვებს, რათა შექმნილიყო დამსწრეთა დიდი რაოდენობის სურათი, ფაქტოურად კი მთავრობისაგან სპეციალურად შერჩეულებს ჰქონდება.



ნდათ მთელ პროცესზე დასწრების შესაძლებლობა. ადვოკატურის მხოლოდ პროცესის შინ დაუნიშნეს ბრალდებულებს ყოველგვარი არჩევის უფლების გარეშე. ისინი სასტიკად გააფრთხილეს, რომ მშობლებისათვის არავითარი ინფორმაცია არ მიეწოდებიათ: და რომ ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ საერთოდ, აეკრძალებოდათ მუშაობა.

1984 წელს: აღსრულებული განაჩენი მშობლებს შეგვატყობინეს მხოლოდ **1989** წელს. თქვენ შეიძლება ბრძანოთ, ბ-ნო ედუარდ, თითქოს ამაშიც არ მიგიძლვით ბრალი, ასეთი „წერილმანებისთვის“ თქვენ სადღა მოიცილით, მსოფლიო ბედის ჩარხის ტრიალში ჩართული. საქმე ისაა, რომ ყველაზე მეტად ამ საქმის გასაიღუმდებით დაინტერესებული თქვენ ცყავით. თქვენ არ გინდოდათ სიმართლე სკოლნიდა ხალხს: არც იმ ქართველებს; ვინც თხოვნით მიმართა მთავრობას ქართველი ახალგაზრდების შეწყალებაზე, მაგრამ თქვენ ისინი აბუჩად აიგდეთ, და არც იმ უცხოელებს, რომელთა წინაშე სათნოებით აღსაგვე კეთილ და დემოკრატ კაცად გინდოათ თავი წარმოადგინოთ. არადა ყველა მონაცემი არსებობს, რათა თქვენი სცენარით ჩატარებული აღნიშნული სასამართლო პროცესი შევიდეს გინების რეკორდების წიგნში, როვორც სასამართლო პროცედურის უამრავ არნახულ დარღვევათა ნიმუში.

ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, რვა წლის დუმილის შემდეგ, ახლა რად გადაეწყვიტე ხმის ამოდება? ორი გარემოების გამო. პირველი, – მე თანადათანობით დავრწმუნდი, რომ თქვენ არ ხართ და არც აროდეს ყოფილხართ პატრიოტი, ხართ დიდი მასშტაბის კარიერისტი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, თქვენი დიდი ავტორეტი მსოფლიოში, როგორ პარალექსალურად არ უნდა სჩანდეს ეს, განდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის სერიოზული ხელისშემსრულებელი გარემოება. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ თქვენი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე სისხლხორცულ-ად დაინტერესებული იყავით, საქართველო არ გასულიყო იმპერიიდან, რომ იგი მტკიცედ ყოფილიყო ჩართული სამოკავშირეო სტრუქტურებში. დმიტრო თქვენ არ გაძლევთ ხელს ერთიანი ძლიერი დამოუკიდებელი საქართველო. თქვენს ავტორიტეტს იყენებთ საქართველოს, მისი მთავრობისა და პრეზიდენტის ღისკრედიტაციისათვის. თქვენი სურვილი იყო საქართველოს იმპერიის მოავ-



რომა ჰყოლოდა, რომ იგი კვლავ მოქცეული ყო მოდიფიცირებული იმპერიის კაბალაში. არადა, რაც ბ-ნ ზეიად გამსახურდით და მოვალეობის საქართველოს მოსახლეობას შეეძლო გაეკეთებინა, ყოველივე მაქსიმალურად და მართებულად გაკეთდა: საქართველოს მრავალეროვან მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ (92%-მდე) ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ა. ჩელენენდუმის ეს შედეგი არის საფუძველთა საფუძველი ჩვენი დამოუკიდებლობის მისაღებად, დანარჩენი კი მხოლოდ დროისა და მომენტის საქმეა. სადღეისოდ თქვენი კარგი იმიჯის გაქარწყლება მსოფლიოს წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის საქმეს უთუოდ წაადგება.

მეორე გარემოება ის არის, რომ ბ-ნ დომუხოვსკისადმი გაცემულ პასუხებში ნათლად გამოიკვეთა, რომ თქვენი შინაგანი ბუნება დოდად არ შეცვლილა, მიუხედავად თქვენი მოქმედების იმპლუის ცვლილებისა. თქვენთვის მზე დღესაც ჩრდილოეთიდან ამოდის. თქვენი პიროვნების კეშმარიტი! ბუნების საშკარიოზე გამოტანა, არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის ინტერესებისათვისა საჭირო, იგი საჭიროა ზნეობრივ-მორალური, თვალსაზრისით. ჯანსაღი, პატიოსანი, სამშობლოსათვის უანგაროდ მებრძოლი შთამომავლობის აღზრდის მიზნით, რომ თქვენი კარიერის გარეგნულმა თვალს მომჟრელმა ბრწყინვალებამ არ შენიდოს თქვენი პიროვნების მთვარი შინაგანი სიბილშე და ადამიანურ-ზნეობრივ კატეგორიათა არარაობა, რომ ვინმეემ თქვენი გავლილი ცხოვრების მთვარე გზა შეცდომით დადგებითად არ შეაფასოს და ამ მხრივ გამრყვნელი გავლენა არ მოახდინოს ახალგაზრდობაზე.

ბ-ნო ელუარდ, ჩემს მიერ თქვენი პიროვნების ასე ცალსახად, უარყოფითად შეიტანება თქვენ შეიძლება ჩათვალით გამწარებული მამის მიკერძოებულების შედეგად. სრულიადიაც არა. თქვენზე ცალსახა წარმოდგენის შექმნა, მართლაც, ფრიად ძნელია. თქვენი მოღვაწეობა შეიძლება ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პერიოდად დაგყოთ: ცენტრალური კომიტეტის მდივნად ყოფნის, ანუ საქართველოს პერიოდი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მოღვაწეობის პირველი ეტაპი მიმდინარეობდა პარტიული დიჭატიის და ტოტალიტარული რეჟიმის ე.წ. „უძრაობის“ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირს ცივილიზებულ სამყა-



როში მტკიცედ დამკვიდრებული ჰქონდა ბოროტების იმპერიაში ადასახსნებელი სახელი. მაგრამ თქვენი დაუდეგარი ბუნება დაუძრებული ენერგიით უძრაობას ვერ უჩიგდებოდა და იმდენი ჰქონით, რომ რესპუბლიკა ავი საქმეებით ისე აამოძრავეთ, რომ იგი ბოროტების იმპერიის ავანგარდში მოაქციეთ, ხოლო შემდგომ, „დიდმა“ სახელმწიფო მოღვაწეობამ თქვენ თვითონ ისე აგამოძრავათ, რომ მოსკოვში ამოგაყოფინათ თავი ხელმძღვანელ პოზიციაში.

ახლა მოკლედ გადახედოთ საქართველოში თქვენს საქმიანობას, თუ როთია იგი გამორჩეული. კომუნისტური პარტიის მიერ შემნილი სახელმწიფო-სამეურნეო მანინჯი სტრუქტურები ბუნებრივია, თვით ქმნის ნოკიერ ნიადაგს ისეთი სიმახინჯეებისათვის, როგორიცაა „ჩრდილოეთი ეკონომიკა“, ზორულყოია, მექრთამეობა, მიწერები, სახელმწიფო ქმნების მიტაცება-განიავება, ხარისხის დაჭვითების ხარჯზე პროდუქციის რაოდენობის ზრდა და სხვა.

საქართველოს სინამდვილეში თქვენ ხართ პირველი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, რომელმაც ზველა ეს სიმანინჯე სახელმწიფოებრივ მართვის ღონეზე აიყვანეთ და ივითონ გახდით მისი ორგანიზატორი. თქვენი პირადი დიქტატორ მოხდა. მასობრივი მიწერების განხორციელება, პროდუქციის რაოდენობის კრიმინალური გზით გაფართოების მეშვეობით სახელმწიფო გეგმის შესრულება და სხვა. მაგალითისათვის ისიც კმარია მოგავონოთ, თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საქართველოში ყურძნის მოუსავლიანობის წელი როგორ გადააქციეთ ღვინის წარმოების ზრდის. წლად შაქრიისნი ღვინის წარმოების მეშვეობით. ასეთმა კრიმინალურმა საქმიანობებმა თქვენ არა მარტო სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი, არამედ, რაც კიდევ უფრო საოცარია, სოფლის მეურნეობის გამოჩენილი ხელმძღვანელის სახელიც კი მოგიბოვათ. საქართველოს ოდესლაც ტრადიციულად განთქმული უნიკალური უმაღლესი ხარისხის ღვინოები, რომლებიც ყოველთვის ქართველი კაცის სიამაყის საგანს წარმოადგენდა, ისე შერყვენით, რომ მის აღდგენას მრავალი წლის უდიდესი ძალისხმევა დასჭირდება, ხოლო ჩვენი საამაყო ქართული ჩაი, რომელიც ინდოეთისა და ცენტრის ჩაის მეტოქეობდა, თქვენი მმართველობის პერიოდში, ჩვენი ქვეყნის დაცინვის საგანი შეიქნა. მთელ კავშირში გახმაურებული სოფლის გეურნეობის „აყვავებისათვის“ გამიზნული თქვენი

ე. წ. „აბაშის ექსპერტები“, რომელ ექსკრუმენტით დამტკიცდა, ეს მთელი ქვეყნისათვისაც კარგადაა ცნობილი.

თქვენი სახელმწიფო-სამეცნიერო ხელმძღვანელობის მახინჯი პრაქტიკიდან უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება (მარცხით და ზარალით დამთავრებული კადეტისა და პაპაიას – ტროპიკული მცენარის გაშენების თქვენი დილეტანტურ-აუთორული წამოწევება და სხვ.) კიდევ ერთსაც შეგახსენებთ. მოიგონეთ, თუ როგორ გადააქციეთ „ცხვირიჭამია“ – „კაციჭამია“, როგორ ულტრაბოლშევიკური შემართებით გამოდიოდით მიწის ყოველგუარი კერძო საკუთრების წინააღმდეგ და არამც თუ არ მიგაჩნდათ მიზანშეწონილად ხალხისთვის მიწის ნაკვეთების დარიგება, არამედ პიროვნით, აყენებდით საკითხს გლეხებისათვისაც კი საკარმილამ ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ. მიუხედავად ყოველივე ზემოთ ქმულისა, თქვენ მაინც შეძელით საქართველოს სოფლის მეურნეობის დეზორგანზაროს, საკავშრო მასშტაბით სოფლის მეურნეობის ორგანიზატორის აუთელი მოვებოვებინათ, ხოლო საქართველოში სახელმწიფო მაციის შემქმნელს – მაფიასთან შეურიგებელი. მებრძოლის სახელი დაგემჭვიდრათ!

აი, ასეთი „შემოქმედებითი“ და „ბრძნული“ იყო, ბ-ნო ედუარდ, თქვენს შიერ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, საქართველოში მოლგაჭეობის პერიოდში. აღარაფერს ვამზობ იმაზე, რომ თქვენ აჯდამიტვიდრეთ ვერავი და პირსისხლიანი კაცის სახელიც.

სხვაგვარად გამოიყურებით თქვენი მოღვაწეობის მეორე – მოსკოვურ პერიოდში, რომელიც დაემთხვა ორ დიდნიშვნელოვან ფაქტორს, რამაც არსებითად განაპირობა თქვენი ამ პერიოდის წარმატებები. პირველი ის, რომ იგი დაემთხვა საბჭოთა კავშირში გარდაქმნების დაწყებას, რამაც უდიდესი კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ურთიერთობებზე. მეორე ის, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე თქვენი წინამორბედი მინისტრების ქცევა-საქმიანობამ, რომელიც ხასიათდებოდა უცხოელებთან ურთიერთობაში ცვი ტონითა

და სიხისტე-მოქმედებით, რაც არაპოპულარულს ხდიდა. მათ ცივილიზებულ სამყაროში, დიდად შეუწყო ხელი თქვენს პოპულარობას, მიუხედავად იმისა, რომ როგორც პროფესიული განსწავლულობით, ასევე საერთო განათლების ღონით, დიდათ ჩამორჩებოდით,



მაგალითად, გრომიკოს, თქვენი ქართული ტრადიციული ჩვევებისა და სასარგებლო პირადი ურთიერთობების ღამყარების უწყებულობით, ბევრად შეტყობინებული მიაღწიეთ. ასე თუ ისე, ამ პერიოდში საერთაშორისო მასშტაბით თქვენი მოღვაწეობა, თუ არ

ჩაგთვლით საქართველოს საქმეებში თქვენი ხელის ბინძურად ფარული, უდიდე უნდა შეფასდეს დადგებითად.

შეუძლებელია თქვენი საქმიანობის საბოლოო შეფასება თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდგომ პერიოდში, სანამ სრულად არ გაირკვევა, თუ როგორი სცენარით მიმდინარეობდა იგი.

ამრიგად, ორსახად ხართ წარმოდგენილი თქვენ: საქართველოში, როგორც უწმინდეულთა მოციქული, გარე სამყაროში, როგორც მშვიდობის მოციქულად მოვლენილი „ანგელოზი“. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რომელია თქვენი ჭეშმარიტი სახე და რომელი —ნიღაბი? ჩვენის ღრმა აწმენით, თქვენ შინაგან ბუნებაში არავთარი გარე დაქმნა არ მოხდარა: თქვენ შინაგანად იგივე შევარდნაძე ხართ, რაც იყვანით საქართველოში, შეიცვალა მხოლოდ როლი.

— გარნა ბოლოს და ბოლოს, როგორც ანდაზა ამბობს: მახათი ხალთაში არ დაიმალა და ჯერ თუ ვინმერ არ იცის, მალე, აღბათ, ყველა გულუბრყვილოსა და ურწმუნოსაც ეცოდინება, რომ საქართველო მსხვერპლი იყო ისევ რუსული იმპერიალიზმისა.

— ეს კონსტატაცია, ასასკვირევლია, ჩვენ, ქართველებს არ გვანთავისუფლებს დანაშაულისაგან, პირიქით, თასჯერ პირიქით! ჩვენ გამოვიჩინეთ წარმოუდგენელი უგუნურება, მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებული ვიყავით. ჯერ კიდევ 1988 წლის ბოლოს ვი-

ცოდით, რომ ქრემლი საქართველოს ნაციონალიზმს ანგარიშსწორებას უმზადებდა და მიუხედავთ 1989 წლის არაორაზროვანი მუკინებული გავრცელის მიღებისა, ჩვენ მაინც უსუსური დოკუმენტები აღმოვჩნდთ, მტრის გასახარად ერთმანეთს დავერიეთ ქართველნი, ერთომეორებე ხელი აღვმართეთ, ქართველებმა ქართველების სისხლი ვლვარეთ და მით ეროვნულ სოლიდარობას თვითვე გადავუკერით სასიცოცხლო არტერიები. ჩვენი ქვეყნა მივიყვანეთ სიღარისა და შიმშილის ზღურბლზე, რომლის იქითაც უფსკრულია, უმჭველი დაღუპვაა მთელი ერისა.

თუ ამ უბედულებას გადაუჩარჩა ჩვენი ხალხი, მისი ისტორია სასტიკად განსჯას დღევანდველ პასუხისმგებელ თაობას:

დიდი შეცდომებია დაშვებული,

დიდი დანაშაულობებია ჩადენილი,

მაგრამ, ჩვენი გაგებით, ჯერ კიდევ ყველაფერი არაა დაკარგული, ჯერ ნუ ზეიმობენ საქართველოს მტრები, ჯერ შეიძლება, ყველაფერი მოხდეს, ჯერ ქართველ ერს ღარებალი არ დაუყრია, არ დაუჩინებია. არ არის გამორიცხული, რომ ქართველობა გამოვიდეს ბურანიდან, გონის მოეგოს, დამარცხება გამარჯვებად გადააქციოს.

ამის მისაღწევად, ამის წინაპირობად ჩვენ მიგვაჩინია რომ:

მიმდინარე ამბებისა და მასში მომქმედი პირების შეფასება და განსჯა მომავალს მივანდოთ, ჩვენ კი ზველამ ხელები დავიკაპიროთ და ერთად ხელი მიყყოთ ნაკრილობებთა მოშუშებასა და გატეხილის გამრთელებას:

კერძოდ, ასში მდგომარეობს ჩვენი დღევანდველი ამოცანა? გვრცხენია, როცა ამას ვამხელთ, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველობა ორ მტრულ ბანაკადაა გაყოფილი. უცილებლად საჭიროა მათი შერიგება, ერთი გამოლიანება და, ჩვენი ლრმა რწმენით, ეს შესაძლებელია, არა ერთი მხარის მეორეზე სამხედრო გამარჯვებით, არამედ კვლავ მრავალპარტიული, დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნებით.

გამარჯვებულ აჯანყებულთა დროებითმა ხელისუფლებამ „სახელმწიფო საბჭოს“ სახით, თბილისში უკვე გამოაცხადა, რომ არჩევნები მან დანიშნა **11** ოქტომბრისთვის. წესიერ პირობებში მომავალი არჩევნები ძველ პარლამენტს უნდა მოეწყო, მაგრამ ფაქტურად იყი აღარ მოქმედებს და არც არსებობს არავითარი იმედი, ჩვენი ქვეყნის დღევანდველი მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ მან



ცხელი ომის საშუალებით აღიდგინოს მისი ძველი უფლებამოსილებანი. ეს მით უფრო უდავოა, რომ აჯანყებულებს აქტორთა და მარება რუსეთის ძლიერი საოკუპაციო არმია. ამიტომ ჩვენ უნდა მივიღოთ ეს შემოთავაზებული არჩევნები, მით უფრო, რომ მას მხარს უჭერენ დასავლეთის დემოკრატიული მთავრობები.

მხოლოდ ყოველგვარი ლონისძიება უნდა იქნეს გაწეული წინასწარი, რომ საქართველოს ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას შორის, პირველ რიგში პრეზიდენტი ზ. გამსახურდია-მრგვალი გავიდის მომხრეთა და აჯანყებულთა დროებითი მთავრობის მომხრეთა შორის,— მოხდეს შეთანხმება შერტული საარჩევნო კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიისა, რომელიც შეიმუშავებს არჩევნების წესს და უხელმძღვანელებს თვით არჩევნების ჩატარების ორგანიზაციას.

შერტული კომისიის შექმნის მიზანი ცხადია: მან უნდა უზრუნველყოს არჩევნები პარტიზანული მიკერძოებისაგან, რათა საქართველოს ყველა პოლიტიკურ წრეს მიეცეს საშუალება შეუზღუდველად გამოთქვას მისი მიზან-სწრაფვა, ხოლო ამომრჩევლებმა, ასევე შეუზღუდველად, სრულ თავისუფლებისა და უშიშროების პირობებში, აწარმონ მათთვის სასურველი არჩევანი.

— ამ სასურველი შეთანხმების შინაგანი ჩვენ საჭიროდ მივვაჩნია, რომ შეთანხმებისათვის წარმოებულ მოლაპარაკებაში მონაწილეობდეს საერთო პატივისცემითა და ავტორიტეტით მოსილი მედიატორი. ამ როლში ჩვენ ყველაზე უფრო შესაფერისად მივვაჩნია საფრანგეთის ხელისუფლება და ამ მიზნით, თხოვნით კიდევაც მივმართეთ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ფრანსუა მიტერანს.

ეს მისია, რომ წარმატებით დაგვირგვინდეს, რასაკვირკველია, რომ ჩვენ გვესაჭიროება დამხმარე, გამაძლიერებელი ძალები, რისათვისაც მოგმართავთ მთელს ჩვენს ემიგრაციას გამოუკლებლივ. დღევანდელ პირობებში ჩვენ უნდა ვუჩვენოთ სამშობლოს ერთად დგომისა და მოქმედების მაგალითი. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ ეს შევძლოთ.

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს!

დიდება და მრავალეამიერ ქართველ ერს!

MINISTÈRE
DES
AFFAIRES ÉTRANGÈRES

LE CHARGÉ DE MISSION
AUPRÈS DU MINISTRE D'ÉTAT

PARIS, LE

24 AVR. 92



000757 CM

Monsieur le Président,

J'ai pris connaissance avec intérêt de votre lettre du 27 mars adressée à la Présidence de la République, qui m'a prié d'y répondre.

La reconnaissance de la Géorgie par la France devrait ouvrir une nouvelle période dans les relations anciennes et amicales entre nos deux pays : elle a été effectuée, en liaison avec nos partenaires de la Communauté européenne, dans le but de contribuer à stabiliser la situation dans ce pays et d'encourager le rétablissement d'un régime démocratique et d'un Etat de droit.

Soyez certain que notre pays sera attentif à l'évolution de la Géorgie et à l'affermissement de son indépendance.

Je vous prie d'agréer, Monsieur le Président, l'expression de mes sentiments les meilleurs.

Jean-Michel CASA

Monsieur Georges TSERETELI
Président de l'Association
des Hommes de Lettres et Journalistes
géorgiens en France
Directeur du journal "Gouchagui"
8, rue des Marchais
75019 - PARIS

გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი ჩვენს „და წეროლზე“

1. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით უწევთაშორისებულება
2. კაზას, „შარუე დე მისიონ“ საგარეო საქმეთა მინისტრის, თა-
რგმანი შემდეგია:

„ბ - ნო პრეზიდენტო,

მე ინტერესით გავეცანი თქვენს 27 მარტის წერილს მიმართულს
რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი, რომელმაც მთხოვა, რომ მასზე
გიპასუხოთ.

საფრანგეთის მიერ საქართველოს ცნობამ უნდა დასაბამი მისც-
ეს ახალ ხანას ჩვენი ორი ხალხის ძველ მეგობრულ ურთიერთობაში.
ეს გავაკეთო ჩვენს ევროპის „კომუნოტეს“ პარტნიორებთან ერთად,
იმ განზრახვით, რომ ხელი შეუწყოთ ამ ქვეყანაში მდგომარეობის
სტაბილურობას, დემოკრატიული რეემისა და უფლებრივი სახელ-
წიფოს ღიმევიდრებას.

გთხოვთ, ბ-ნო პრეზიდენტო, მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

უ ა ნ - მ ი შ ე ლ კ ა ზ ა “

ჯერჯერობით მივიღეთ აგრეთვე: 1. საფრანგეთის რესპუბ-
ლიკის სენატის პრეზიდენტის სახელი, მისი კაბინეტის დირექტო-
რის ბ-ნ პიერ ბორდოისგან, და 2. ევროპის საბჭოს გენერალური
მდიგნის სახელით, მისი კაბინეტის პოლიტიკური დირექტორის ბ-ნ
გ. ე. შრომბენისგან.

ს ი ტ ყ ვ ა გ ი თ რ გ ი შ ა რ ა შ ი ძ ე ჭ ე

მას წარდგენა არ ესაჭიროება ჩვენი საზოგადოების წინაშე.
მიჭირს, ძალიან მიჭირს მის შესახებ აქ. ძვირის დაწერა, მაშინ
როცა ამდენჯერ შემიქია მისი ღრმა ერუდიცია და განსწავლულო-
ბა. ამის გარდა, თუმცა ჩვენ პოლიტიკურად განსხვავებულ ად ვაზ-
როვნებდით, ჩვენ მუდამ მხოლოდ მეგობრობა გვაკავშირებდა და
მე პირადად მისით ვამაყობდი, რომ კარგი მამის შეილი, პარიზში
დაბადებული და ობლად აღზრდილი, ასეთი სასახლო ქართველოლო+
გი და ორიენტალისტი გამოვიდა.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს უცნაურობა შეეტყო, მაგრამ თუ
ის სამშობლოს ღალატობამდე დაეიდოდა, ამას ნამდვილად ვერ წა-



რმოვიდგენდი. არადა, ბატონებო, თავად განსაჯეო, მა რმაუნდის უკანასკნელ გამოსვლას, 9 – 15 იანვრის, ფრანგულ ყოველგვირეულ „ნუცელ ობსერვატორში?“ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს სწორედ ის დღეებია, როცა შეიარაღებულ-მა აჯანყებამ აიძულა საქართველოს კანონიერი მთავრობა ზ. გამსახურდიას მეთაურობით, რომ დევნილობაში უძრნა ხსნა. არცერთი სიტყვა ძალმომრეობის დასაგმობად, გ. შარაშიძიძე უურნალს აღლევს პრეზიდენტის უადრესად ცუდ საკუთარ შეფასებას. ამ როი პიროვნების აზროვნება ისე დიამეტრალურადაა განსხვავებული. რომ მე როდი მიკვირს გ. შარაშიძის. შეფასების უსაფუძვლობა, მაგრამ მაინც იმ დროს მისი მოქმედვა ტრალფასი იყო იმ ულირსებო პირის მოქმედებისა, რომელიც წაქცეულ მოწინააღმდეგებს კიდევ წილს აზერს მუცელში.

სამწუხაროდ მერე კიდევ უარესი მოდის. უურნალისტის შეკითხვაზე: კი მაგრამ ეს ყველაფერი გამოიცვლება მისი წასვლის (იგულისხმება ზ. გამასახურდია. გ. წ.) შემდეგ? ის პასუხობს: „სამწუხაროდ ეს არც ისე ცხადია. მაგალითად, ქართველების უმრავლესობა თანახმაა იმაში, თუ როგორ უნდა მოექცენ ეროვნულ უმცირესობებს..“ წინ მან უკვე თქვა, რომ ზ. გამასახურდიას განზრახული. ჰქონდა საქართველოდან გაესახლებია ყველა არაწმინდა ქართველი. თუ ქართველების უმრავლესობაც ამ აზრის არის, მაშინ მართლი ყოფილან ოსი სეპარატისტები და რუსი იმპერიალისტები; რომლებიც მსოფლიოში ავრცელებენ ხმებს, რომ ვითომოც მიზეზი ქართველებისა და ოსების დავისა იყოს ის, რომ პირველები მეორეთ ქვეყნიდან გაყრით ემცუქრებიანო. ამ სიცრუის გასაბათილებელად გ. შარაშიძე სიტყვას არ ძრავს. სამაგიეროდ, დემოკრატიას გამოცდების დასაჭერ პირბად საქართველოს ახალ ბატონებს ის უყენებს მათ დამოკიდებულებას ოსებისადმი. „პირველი ნიშანი მათი დემოკრატიას ეს იქნება მათი დამოკიდებულება ოსების მიმართ“, ამბობს სიტყვა სიტყვით გ. შარაშიძე. ამას ჩვენ ვთვლით ჩვენი ქვეყნის მკრეხელბად, ლალატად. სხვას შეიძლება ეპატიოს უცოდინარობით, მაგრამ მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ რუსული შოგინიზმი ოსების შეგულიანებით გვიპირებს უდავო ქართული მიწა-წყლის წაგლეჯას. არის ის ქართველი, ვინც ამას უშფოთველად შეხვდება? ისმება კითხვა: არის კი პროფესიონალი გი-

ორგი შარაშიძე ქართველი?

*** *** ***

დ ი ა წ ე რ ი ლ ი ა მ ხ . შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე ს
(შემოკლებით)

„...მე, ელისაბედ თეიმურაზის ასული ჩიხლაძე ვარ, თქვენს მიერ სიკვდილმისჯილი უდანაშაულო ბერის – მამა თეოდორეს (ერის კაცობაში თეიმურაზ ჩიხლაძის) ქალიშვილი. ამ ღია ბარათის დაწერა გადამაწყვეტია თქვენს მიერ ბ-ნ ვიქტორ ლომუხოვცვესიათვის (თვითმფრინავის გამტაცებელთა № 201 საქმის საპარლამენტო კომისიის თავ - რე) მიცემულმა ინტერვიუმ, რომელიც გაზირ „საქ. რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი გამოგიტყვდებით, აღრეც მინდოდა მომემართა თქვენთვის, იმედს ვიტოვებდი, რომ მიპასუხებდით, მაგრამ როგორც ინტერვიუდან ირკვევა, თურმე „არაფერი გცოლნიათ, არაფერ შუაში ხართ და არაფერი გახსოვთ“. ძალიან ვწუხვარ, რომ გულმავიწყობის სენს შეუპყრიხართ, ამიტომ თავს უფლებას მიუცემს, ამხანაგო მინისტრო, თქვენი წითელი წარსულის ზოგიერთი ეპიზოდი შეგახსენოთ.

1983 წლის 18 ნოემბერს საქ. ლელქალაჭი თბილისში ტუგაფა დატრიალდა. ადგილი ჰქონდა თვითმფრინავის გატაცების მცდელობას. გამტაცებლები იყვნენ ზედმიწევნით განათლებულნი ინტელიგენტი ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ „ბანდიტებად“ მოინათლნენ. გაიხსენეთ ამხ. ედუარდ, იმ წლებში იყავით, სწორედ, საქ. სსრ კომპარტიის ცკ პირველი მდივანი, და მოსკოვის წინაშე დამსახურებები მოახლოებული „ჯერაბრნახული“ საზეიმო ცერემონიალით გაურდათ დაგეგვირგვინებინათ, რომ შემდეგ პარტიული იქრანების ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე ასულიყავით. არადა, ახლივდებოდა სამი „უდიდესი ლირსშესანიშნავი“ წლისთავი: „საბჭოთა კავშირის შექმნის მესამოცე წლისთავი“, „მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების ორასი წლისთავი“ და „საქ. სსრ -ში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების სამოცი წლისთავის“ იუბილე. (ე.ი. რუსეთის მიერ საქ. დემოკრატიული რესუბლიკის ლეგიტიმისა და ანექსიის მესამოცე წელი). და უცებ... ზეიმისათვის გამალებული მზადების პერიოდში გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ამხ. შევარიცხადის დიქტატურის წინააღმდეგ ახალგაზრდათა ჯგუფმა საჯარო პროტესტი

გამოხატა, მოაწყო პოლიტიკური აქცია—თვითმფრინავის გატაცება, რომელსაც ბოლშევიკური ჭირის მოუქნელობისა და „დერიმონტ-თა“ ნაჩქაოევი გადაწყვეტილებების გამო მოჰყევა მსხვერილი. დღეს შევრს ახსოეს, ამ უაქტოან დაკავშირებით, თქვენი აეროპორტში მისვლა ... აღელვებული, სიბრაზისაგან ნაკვთებწამლილი სახე. მაშინ პატიციებმა სული ისე დაგიბრმავათ, რომ მოსკოვიდან სასწრაფოდ გამოაძახებინეთ „სპეცგუფი“, აქმოდა მე არაფერ შუაში ვარ, ბატონპატრონები აქ თქვენ ხართ და დამეხმარეთო. ჰოდა, დაგეხმარენე, ამხ. ედუარდ!..

მშობლების თვალშინ „სპეცგუფმა“ 8 წუთში, „გააუვნებელჲყუ“ გამტაცებლები... იმ მშობლების თვალშინ, რომლებიც გევედრებოდნენ, თვითმფრინავში შესვლის უფლება მიგეცათ, პირობას იძლეოდნენ, რომ შეძლებდნენ შევილების გამოყვანას. თქვენ უარპყავით ეს ვედრება. მოსკოვს ხომ უნდა დაენახა ამხ. ედუარდის ერთგულება?!.. მერე ის იყო, რომ კბილებამდე შეიარატებულმა „სპეცგუფმა“ რვა წუთში „გააუვნებელჲყუ“ ორი გარდაცვლილი, ოთხი დაჭრილი მამაკაცი და ერთიც 19 წლის ქალიშვილი... ამხ. ედუარდ, თურმე როგორ გშინებიათ მათი?! მაგრამ თქვენ ყოველთვის გეშინდათ თქვენი ხალხის.

მერე, პოლიტიკური აქციის სტატუსი რომ როგორმე მიგეჩქმალათ, „ნარკომანებად“, „ბანდიტებად“ მონათლეთ მხატვარი სოსო წერეთელი, ექიმი კახა ივერიელი, ექიმი პაატა ივერიელი, მხატვარი დავით მიქაელიძე, მსახიობი გაგა კობახიძე, მხატვარი გია ტბიძე და ... მამაჩემი - ბერი მაბათ თეოდორე, რომელიც საერთოდ არ ყოფილა ღვითმფრინავში და აქციის მოწყობილან მხოლოდ სამი თვის შემდეგ დააპატიმრეს.

ინტერვიუში თქვენ „მშვიდი სინდისით“ ამბობთ, რომ მამა თეოდორე ბანდას მეთაურობდა და ამის გაძო გავისამართლეთო. ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კანონით, თვით მაშინდელი საბჭოთა კავშირის კანონითაც, „ბანდა“, ეს არის აღამიანთა ჯგუფი, რომელიც სხალის არა ერთ, არამედ რამდენიმე დანაშაულს. ამდენად, ამის გამო, რომ „გამტაცებლებს“ მხოლოდ თვითმფრინავის გატაცება ჰქონდათ განზრახული და მანამდე სხვა დანაშაული არ ჩაუდენიათ, ვერასგზით ვერ მიენიჭებოდათ „ბანდის“ სტატუსი. აქედან გამომდინარე, თუ არ არსებობდა „ბანდა“, ვერ იარსებებდა მისი „შეთაურიც“.

.... ასე, რომ აღიარეთ: თქვენზე უკეთ არავინ უწყისერი ცოტნილი მამა უდანაშაულო იყო, უფრო მეტიც, ჩემს დაუინებულ მოსამაგრესში, ადგილობრივ თუ საკავშირო ინსტანციაში, შემეტყო მამის განაჩენის შემდეგი ბედი, შეიდი წლის განმავლობაში არანარი შედეგი არ მოჰყოლია. ღრმად ვარ ღარწმუნებული, რომ მიზეზი იმისა, თუ რატომ იყო ეს საქმე წლების განმავლობაში ესოდენ ტაბუდადებული და საიდუმლოებით მოცული, სწორედ თქვენში უნდა ვეძიოთ, რადგან თქვენ არით ბოლშევიკი ბრძანდებით და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ისეთივე არაადამიანური სადისცური ცინიზმით მოიქაროთ, როგორც თქვენი კოლეგები 37 წელში, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ჯერ შეთითხნილი ბრალდებით პატიმრებდნენ და შემდგომ ამისა უკვალიდ აქტობდნენ“.

.... ამხანაგო მინისტრო, მამა თეოდორე კომუნისტური რეჟიმის უბრალო მოწინააღმდეგე კი არ გახლდათ, იგი ამ რეჟიმის ცოცხალი პროტესტი იყო. ჯერ კიდევ 15 - 16 წ. ასაკიდან სწავლიადდა მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებს. ამიტომ აღრეული ასაკიდანვე მისხვდა, თუ ვისთან მოუწევდა ჰქონიდა საქმე. სკოლის დამთავრების შემდეგ უველა ინსტიტუტის კარი იყო ღია მისთვის, მაგრამ უარპყო! თავისუფლების მონად იქცა. სულის გადარჩენისათვის იღვწოდა მხოლოდ.

რა არის სული და მისი გადარჩენა, შესაძლოა თქვენ ვერ გაიგოთ, არა უჭირს, სხვები გაიგებენ. ამდენად, როგორც მორწმუნე, სრულიად ახალგაზრდა ასაკიდან ფიგურირებდა მამაჩემი სუკის არქივებში და როგორც იდეური მოწინააღმდეგე კომუნისტური რეჟიმის დევნას განიცდიდა. მოკრძალებით უნდა აღვნიშნო, რომ მამა ადამიანური სიკეთის განსახიერება იყო. მისი ცხოვრების სირთულე ის გახლდათ, რომ თავადაც უწყოდა, ირგვლივ არსებულ რუხვ ფერთა გამმაში, თავისი მრავალფროვნებით ვერ ჩაეტეოდა. აღბათ. ამიტომ იყო, რომ ბერიად ალკევაცამდე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, განუკითხაობით გულშექრული, განდევილივით ცხოვრობდა; იმ პერიოდში კი, სანამ მამა თეოდორე გახდებოდა, თეიმურაზ ჩიხლაძემ შინაგანი სრულყოფისაკენ როთლი გზა გაიარა. ბუდიზმითაც იყო დაინტერესებული, სხვა გატაცებებიც ჰქონია, მაგრამ ამგვარ ძიებას იოტისოდენადაც არ შეუცვლია მისი პიროვნება“.

.... 1983 წ. 18 ნოემბრის ტრაგედიის შესახებ მან ისევე შეიტყო, როგორც მე და თქვენ. ძალიან განიცადა. აქციამდე ათი თვ-

ის განმავლობაში, მას ხომ საერთოდ არ ჰქონია შეხების, შეკრიტიკის „ვაშტაცებლებთან“. 1984 წ.- თებერვალში კი „ბანლის მეთაურის“ ბრალდებით დაპატიმრეს. დღემდე მანცვიფრებს ასეთი ბრალდების ცინიზმი. შამა თეოდორეს ბედსა და ბედისწერის უელმიწევნით მიესადაგება დოსტოევსკის ცენბილი სიტყვები: „იგი დამნაშავე იყო იმაში, რომ უდინაშაულო გახლდათ“. მამა თეოდორეს მიმართ გამორანილი სასიკვდილო განაჩენი იყო სისასტეკისა და ცინიზმის გაუგონარი აქტი. მამა თეოდორე რწმენისათვის აწვალეს მწვალებლებმა.“ „.... მე ბრალს გდებო, ამხ. ედუარდ! ბრალს გდებო მამიჩემისთვის სასიკვდილო განაჩენის შეთითხვნაში! ბრალს გდებო დამო-სმსახურის დახვრეტაში!“ ...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ჩ ი ხ ლ ა ძ ე
*** *** ***

ჩეხოსლოვაკიური „გაცხრილების“ წესი

13. აპრილის გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსში“, ვეფიქრობ, ჩვენთვისაც საყურადღებო წერილია: ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე იმ საკითხზე, რომელიც ეხება ამ ქვეყანაში კომუნისტურ რეჟიმის ფარულ თუ აშკარა კოლაბორატორებისა და აგენტებისადმი დამოკიდებულებისა, რაია სახელმწიფო დაზღვეული იყოს მათი საშიშროებისაგან, ამას „გაცხრილებას“ უწოდებენ.

ჩეხოსლოვაკიაში „გაცხრილების“ ორი სხვადასხვა პროცესი ყოფილია. ერთმა, საპარლამენტო კომისიამ შეისწავლა კანონმდებლობის საბუთები და მის საფუძველზე დამნაშავეო მისცა წინადაღება, რომ ან გადამდგარიყვნებ ჩურად თანამდებობიდან, ანდა გამოქვეყნებული იქნებოდა მათი ვინაობა. რამდენიმე გადადგა, მაგრამ სხვებმა ბატონ კავანის ჩათვლით გაღაწეული შებრძოლება. (ბ-ნ კავანს აღანაშაულებენ იმაში, რომ 1969 - 70 წლებში, პრიტანეთში სტუდენტად ყოფნის დროს შეგნებულად ითანამშრომლა ჩეხოსლოვაკიის საიდუმლო პოლიციას, ან.)

მეორე მხრით, ჩეხოსლოვაკიამ შიორი კანონი, რომლის მიხედვით, ხუთი წლის განმავლობაში მთავრობასა და სახელმწიფოს მმართველობაში მყოფ ინდუსტრიაში მაღალი თანამდებობების დაცვა-ება ყრდალებათ მნიშვნელოვან კომუნისტებსა და იმ **140.000**-ზე მეტ პირს, რომლებიც აღრიცხული იყვნენ როგორც ჯაშუშ-აგენტები.

ეს კანონი არ აკეთებს განსხვავებას იმათ შორის, ვინც თბანი-მშრომლა მოკლე ხნით და ვინც წლების განმავლობაში მარტივი ომლობდა. ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავი აარიდა იმის გამომუღავნებას, თუ აამდენმა პირმა დაკარგა თანა-მდებობა.

ამ კანონის მოწინააღმდეგთა შორის არის პრეზიდენტი ვაჟლავ ჰაველი, რომელმაც უხალისოდ მოაწერა ხელი მასზე და შემდეგ დაუყოვნებლივ წარადგინა უსწორებები. ბ-ნ ჰაველმა თქვა, რომ იგი მხარს უჭირს თანამდებობიდან გადაყენებას იმ პირებისა აგ-ენტებისა და კომუნისტებისა, რომლებმაც ზოანი მიაყენეს ხალხის სამოქალაქო უფლებებს, მაგრამ, ამბობს ის, ეს უნდა განხილულ იქნეს ცალ-ცალკე საქმედ და არა კოლეგიალურად.

აღმოსავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებსაც მხედველობაში აქვთ მს-გავსი ზომების მიღება, მაგრამ ჯერ არავინ წასულია ასე შორს.

ვ ე ტ რ ე

ვაშინგტონი 28 აპრილი 1992

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის ქრონიკა

მოსკოვში ყოფნის დროს, ა. წ. 18 თებერვალს, აშშ -ს სახელმწი-ფო მდივანი ჯემს ბეიკერი შეხვდა თენგიზ სიგუას, რომელსაც გა-ნუცხადა ის შეშოთება, რასაც განიცდის ამერიკის მთავრობა ზ. გამსახურდიას „გადაყენების თაობაზე“. სახელმწიფო მღივანმა აღ-ნიშნა, რომ ზ. გამსახურდია ტემოკრატიული იყო არჩეული და ძალმომრეობით დამხობილი. (იხ: გაზ. „ულე მონდ“ 20. II. 1992)

*

ამერიკის შშ იცნო და დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს საბჭოთა ოთხ ყოფილ რესპუბლიკასთან: აზერბაიჯანი, უზბეკისტანი, ტაჯიკისტანი და თურქმენისტანი; უფრო აღრე მან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა: აღსეთთან, უკრაინასთან, ბელორუსიასა და სომხეთთან. დარჩა მხოლოდ საქართველო, „სადაც ხელისუფლე-ბა წარმოადგენს სამოქალაქო ომის შედეგსა“, ნათქვამია კორეს-პონდენციაში. (იგივე გაზეთი 22 თებერვლის).

*

პორტუგალიის საგ. საქ. მინისტრის განცხადებით, რომელიც ამ- უამაც ევროპის თანამეგობრობის ი აღმჯდომარეა, ევროპამ შეიძლე-



ბი, რომ მალე იცნოს საქართველოს დამოუკიდებლობათ.
(ლე მონდ, 14 მარტი 92.)

*

23 მარტი, ბრიუსელი, ევროპის „კომუნიტეტ“ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ლისაბონში, ბონშა, პარიზშა და ლონდონშა იმა-
ვე დღეს გააკეთეს ცნობის განცხადებები. ისინი საქართველოს ცნობენ ე. უვარდნაძის ათი მარტის განცხადების საფუძველზე,
მათვის შევარდნაძე არის გარანტია. მისი ხელისუფლების დემოკ-
რატიულობისა.

24 მარტიდან ამერიკის შ შ ცნობს საქართველოს დამოუკიდებ-
ლობას და დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს „მასარან.“

ამასთან დაკავშირებით, ამერიკის მთავრობის პორტპოროლმა პ-შა მარლენ ფრცულორერმა განაცხადა: „ამერიკა ჩაც შეიძლება მალე
გახსნის საკონს თბილისში და მხარს დაუჭროს საქართველოს მი-
ლებას საერთაშორისო ორგანიზაციებში. („ლე მონდ“ 26 მარტი.)

იმავე დღეს საქართველო, ხორვატია და სლოვენია მიღებული
იყვენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის
წევრებად. დმრიგად, ამ ორგანიზმის წევრთა რიცხვი 35 -დან 51-
ამდე გაიზარდა.

ეთერი

GEORGICA - გეორგიკა

13 / 14

კრებული „გეორგიკა“ 14 წლის წინ, 1978 წ. დაარსდა აღმოსა-
ვლეთ გერმანიაში (გდრ), ფრიდრიხ შილერის სახ. იენის უნივერსი-
ტეტში, პროფ. ჰაინრიხის თაოსნობით. ბ-ნი ჰ. ფენრიხი პი-
რველი უცხოელია, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტში ქართულ
ენაზე დაიცვა საღოქტორო დისერტაცია და აგრ უკვე 30 წელზე
მეტია, რაც გერმანული გულმოლგინებით მუშაობს ქართველოლგი-
აში. უურნებლის გამომცემლებად მუშაობდნენ თბილისისა და იენის
უნივერსიტეტების რექტორები, სარედაქტო კოლეგიას, რომლის შე-
მადგენლობაშიც ქართველი და გერმანელი მეცნიერები შედიოდნენ,
ხელმძღვანელობდა ბ-ნი ჰ. ფენრიხი. ქართველ მეცნიერთაგან გამო-
ცემისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პროფ. მარიამ ლორთქ-
ფცნიძეს, კრებული გამოდიოდა წელიწადში ერთხელ.

1990 წლის ზაფხულში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამო,

იენის უნივერსიტეტითა ვეღარ შეძლო უურნალის გამოცემის დაზიანების უნივერსიტეტითა გადატარი და 1991 წლიდან საგამომცემლო უფლებები კონსტანტის უნივერსიტეტითა გადაიბარია. საგამომცემლო სიძრელების გამო 1990 წელს უურნალის გამოცემა შეფერხდა და 1991 -ში ორი ნომერი ერთ წიგნად გამოვიდა.

ის, ვინც ადრეც ეცნობოდა გეორგიკას შეამჩნევს, რომ არის ცვლილებები მასში. ის ქართველ და გერმანელ მეცნიერთა წერილების გვერდით აქვეყნებს დასავლეთეროპელი და ამერიკელი სპეციალისტების წერილებს. სარედაქციო კოლეგია მიზნად ისახავს, გააჩალოს საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსია საქართველოს ისტორიის, ქართული ხელოვნების, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის საკითხებზე. გეორგია დღესაა ერთადერთი გერმანულენოვანი უურნალი, რომელიც მდიდარ ინფორმაციას აწევდის ქართული კულტურით დაინტერესებულ მკითხველს.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი

პ რ ო ტ ე ს ტ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი დ ა ნ

დეკანა პარიზიდან

პარიზიდან მოვიდა დეპეშა საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მისამართით. მასში ნათქვაშია:

ბატონი პარიზი-ზინისტრი

ბატონ შალიკო თაყაიშვილის მიერ პარიზიდან ბატონ ზვიად გამსახურდისადმი გამოვაზრილი მოწვევა არის პირადი ინიციატივა და არ გამოხატავს საფრანგეთის ქართული სათვისტომის გენერალურ შეხედულებას.

ქართული სათვისტომ, რომელიც არის საფრანგეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოქალაქეების თავისი კონკრეტური მიზანის უფლებას გვაძლევა.

ლევა ჩევნ, მოგახსენოთ, რომ არავითარ ასეთგვირი მოწვევა არ გაჲორცულ და რომ კველა სხვა ინფორმაცია განხილული იქნება როგორც დეზინფორმაციული ქმედება.

წინასწარ მაღლობის გიზით ამ განტენდების ქართულ პრესაში გაშორებული გამოვიდებისათვის.

მოგეხალშებით,
რაგაც პარუბულილი,
ქართული სახლი. ბარიზი.
1982 წლის 18 იანვარი.



ბატონო გოგი, თავზარი დაგვცა პარიზიდან გამოგზავნილი იყო, რომ ბატონმა თაყაიშვილმა, ჭეშმარიტად ქართველმა, თეოთონ გამოგზავნა პირადად მოპატიუება და არავის უფიქრია, რომ ეს სათვისტომოს გამოვზავნილი იყო. მეორეც, ერყობა, ბატონ პაპუაშვილში აღარ არის ქართული სული, და დაავიწყდა, რომ ხმალგატეხილ მოწინა-აღმდეგის წინაშე, თუ ის ვაჟკაცია, ხმალს ქარქაში აგებს.

მე ვერ დავიჯერებ, რომ ასეთი ბარათის გამოგზავნას თქვენც დაეთანხმეთ.

ნუთუ ვერ ხვდება ბ-ნი პაპუაშვილი, რომ, რაც ჩვენთან მოხდა, ეს არის ტრადიციული სცენარი, რომელიც სად და ვის მიერ არის დაწერილი ყველაბ იცის. ვაი, რომ მესამე ანექსიას ჰგავს!

ჩვენი ეკლესიების ყველა წმინდანს ვემუტარებით, გადარჩეს ჩვენი ქვეყანა. დიდი პატივისცემით

ლ ე ნ ა.

ხელნაწერი ინახება რედაქციაში. რედაქტორი.

*** *** ***

ა ბ ე ლ წ ე რ ე თ ლ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

აბელ წერეთელი ერთი მსხვერპლიაგანია 1937 - 38 წლების, ცივილიზებულ კაცობრიობის ისტორიაში გაუყონარი, ბრძან სახელმწიფო ტერორის. ის 1937 წლის აპრილის თვეში დაპატიმრებს, რამდენიმე თვე თბილისის ჩეკის საპატიმროში იმყოფებოდა. ნაშემოდგომებს მოხუც მამას, რომელმაც პატიმარს ამანათი მიუტანა, იგი უკან დაუბრუნეს და უთხრებს: ასეთი პატიმარი აქ არ იმყოფებაა. ასე გავჭრა სალ-სალამათი კაცი ცოცხლებიდან! კითხვას ვინ გაბედ-ცვდა?

გვიდა ხანი. მოხდა დიდი ამბები, რომლებმაც უესტრეს მთელი მსოფლიო. საბჭოთა ბარბაროსობამ გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში და კანალამ წოლს ქვეყნიერებაზე არ გაბატონდენ!

მამას უფიქრია: ეს ურჯულები იქნებ გამარჯვებამ მაინც მოარჯულონ და 1946 წელში შეუტანია თხოვნა სადაც ჯერ არს, გამაგებინეთ რა ბედი ეწვია ჩემს დაპატიმრებულ სიყრის შეიღს. პასუხად მიუღია: „გადასახლებულია, ჯერ არ მოუხდია სასჯ-

ელი, როცა მოიხდის, განთავისუფლდებათ.
ისევ ამაო ლიდინი...

ამასობაში ჩაძალლდა ყოველი დროის
უდიდესი ტირანი. ხალხმა იწყო ოდნავ
შვებით ამოსუნთქვა, მოეცათ მხნეობა.
იწყეს უგზო-უკვლიად დაკარგულთა ძებ-
ნა. 1957 წელში ჩემს უფროს დას, ან-
იკოსაც უცდია ბეჭი, თხოვნით რიუმარ-
თავს უმაღლესი სასამართლოსთვის, საი-
დანაც შემდეგი პასუხი მიუღია: „1941
წელში ავადმყოფობით გარდაიცვალ-აო“.

ესეც, რასაკვირგელია, ტუკილი!

კიდევ გავიდა არამცირედი ხანი და
როგორც იქნა, მის შემქმნელებს მიეწია საბჭოთა ბოლშევიკურ-
კომუნისტური უწესრიგობა.

გასულ წელს სამშობლოში ყოფნისას მე და ჩემმა დებმა ერთ-
ხელ კიდევ მივმართეთ თხოვნით საქ. რესპუბლიკის უმაღლეს სასა-
მართლოს, ამ ჩვენთვის მარად მოუშუშებელ ტაიგილის თაობაზე.
დები ზატყობინებენ, რომ მიიღეს შემდეგი პასუხი: „აბელ წერეთ-
ელი დააპატიმრეს 1937 წლის პარილის თვეში, ოქტომბერში და-
ხურუმთა სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა და სამ ნოემბერს და-
ხვრიტეს თბილის შიონ“.

ეს ცნობა სიმართლესთან უფრო ახლოს ჩანს; მაგრამ, რა სიმწი-
რეა აქაც?! უდავოა, რომ ჩემი იმა ტერორისტული აქტისთვის არ
დაუსჯიათ. თუ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დახვრიტეს, სხ-
ვა შეთქმულებიც ხომ უნდა ყოფილიყვენ? სხვა მრავალი კათხვებიც
შეიძლება წამოიჰენ, მაგრამ ამ ცნობიდან პასუხს ვერ ვღებულო-
ბთ. ერთადერთი, რისთვისაც ის შეიძლება დაესაჯათ, ეს იყო მი-
სი მონაწილეობა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. აჯანყების
დამარცხების შემდეგ მან ციხეებში სამ თვეზე მეტი გაატარა და
შემდეგ წლებშიაც არაერთხელ ყოფილა დროებით პატიმრობაშია.

ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ დაწვრილებითი ცნობები იმ
განუკითხობის დროს დალუპლოთა შესახებ და მეც აქ ამ ჩემს
უდავო უფლებას ვითხოვ საქართველოს რესპუბლიკის იმ უწყები-
სგან, რომელსაც ეს საკითხი ეკითხება.

აქვე, თავს ნებას მივცემ და ჩემს მეგობრებსა და კუთილისმყო-



ფლებს ვთხოვ უმორჩილესად, ილოცონ აბელ წერეთლის სულისთვის,
რადგანაც ის უსათუოდ იყო გაჭირებაში მყოფი მოყვასის შემთხვევა
წემწყალობელი, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი.

ჩემი ძმისა და უველა მისი ბედის მოზიარეთა მარად სავალალო
ამბის მორალს ასე დავასკვნია: არა, ადამიანი მშობლებ-ნათესავთა
დანაშაულისათვის არ უნდა ისჯებოდენ. ეს ურყევი ელემენტარული
კანონია დემოკრატიისაც, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული
უფლებებისაც და, უბრალოდ, ქრისტიანული მორალისთვისაც;
მაგრამ, იმ ძალთა ლეგებს, რომლებმაც ასე შეუბრალებლად
და უანგარიშოდ მუსრი გაავლეს უიარაღო მოსახლეობას, — ერთ ას
მწყემსობა და, მით უფრო მწყემსობა არა და არა უნდა მიენდო!

8. წერეთელი

მწუხარებით ვაჟ წყებთ:

წელს 19 იანვარს ლევალის სასაფლაოს მიბარდა საკმარისად
ხანში შესული ქალბატონი თამარ ალიხანაშვილი, პარიზში მცხოვრები.

წელსვე, პირველ თებერვალს გერმანიის ფ. რ. გარდაიცვალა ხან-
დაზმული ბატონი გიორგი გორგიშველი, და დაიკრძალა ქ. მაინის
ფრანგიურტში, სადაც ცხოვრობდა. განსვენებულისადმი ჩვენ გვმა-
რთებს განსაკუთრებული მაღლივრება, ის იყო ჩვენი უურნალის
ერთგული შემწე. საუკუნო იყოს ხსენება მისი. ამინ!

ა. წ. 18 თებერვალს, სოფ. ლევილში გარდაიცვალა ქსლბატონი
ქრისტიან ბერიშვილისა, 21 თებერვალს მიბარდა ლევილს სასაფ-
ლაოს. განსვენებული ქმართან ერთად უკანასკნელ წლებში მეურ-
ვეობდა ლევილის ქართულ მამულს, სადაც მან დიდი ენერგია და
საქართველოს სიყვარული გამოაცვინა.

საუკუნო იყოს მისი ხსენება, ამინ!

წელს მარტის პირველ რიცხვებში, გერმანიის ქ. შელდორფში,
76 წლისა გარდაიცვალა ბ-ნი ვალიკო კოკაია -Walter Ortlepp
და დიდურად. ალილმრვად თე მარტს.



ა. წ. ათ აპრილს ქ. ნიუ-იორკში გარდაიცვალა თეომულრაზ
ბაგრატიონი - მუხრანელი.

ამავე თვის თორმეტში, თბილისში გარდაიცვალა ქონსტანტი-
ინე ბაგრატიონი - მუხრანელი.

წელს რვა აპრილს, პარიზში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდ-
ეგ გარდაიცვალა თეომულრაზ (თემო) თაქა: აქიშვილი,
დაბადებული ქ. ბრიუსელში 1911 წ. 2 სექტემბერს, დაჩყრძალა
პარიზის დე ბატინიოლის სასაფლაოზე, სიღელრ-სიმამრის გვერდით.

სამშობლოში, წელს ხუთ აპრილს, 82 წლის ასაკში გარ-
დაიცვალა ცეკვის ჯალოქარი გახტანგ ჭაბუკიანი.

და სამძიმარს მოვახსენებთ ჭირის უფლება

პოეზია საკვებია სულისა

ჩემო სამშობლო

რატომ გაგწირა ბედმა უწყალოდ,
ჩემო სამშობლო, ჩემო კერია.
არა თუ უცხო, გადამთიელი,
თვით შენი შვილიც შენი მტერია.

ქართულმა გენმა იჩინა თავი,
ძმამ მოუდერა თავის ძმას ხიშტი.
ქართველთ ურთიერთ რომ არ ემუხთლათ,
რას დაგვაკლებდა დილვი ან ქისტი.

ძმა ძმას რომ უშენს თოფს და ყუმბარას,
ჭაბუქი ჭაბუქს მკერდში სცემს დაჩას,
ცეცხლით სწვავს სკოლას, კულტურის ტაძარს,
ამ ცოდვას ლმერთი შეგვინდობს განა?



ძმებო, გონს მოდით, რა დროს ომია,
ხმალი ჩააგეთ, შესწყვიტეთ ცეცხლი.
ნამდვილი მტერი კარს მოგვდგომია,
ივალდაბინდული იუდას ვერცხლით.

მღვრიე მღინარის აქოჩრილ ტალაძებს,
რომც გადაურჩეს ჩემი ივერი,
სახელს რა ვუყოთ, სახელს შერცხვენილს,
რასაც ატარებს დღეს ჩემი ერი.

ურნალისტი თ ი ნ ა ჩ . ი . ჭ ო ვ ა ნ ი
პარიზი 28 / X / 1992.

**

ვ ა , ნ ც დ ა

ი ქ ნ ე ბ რომ ვ დ გ ა ვ ა რ
ა მ ჩ ე მ ს ჟ ე ხ თ ა ქ ვ ე შ
ს წ ო რ ე დ თ ა შ ა რ ი ს ს ა ფ ლ ა ვ ი ა რ ი ს .
რა ვიცი იქნებ აქაც მარჩია
ქართული შუქის დიდი ლამპარი.
ამ მობიბინე ყვავილების ქვეშ
იქნებ თამარის საფლავი არის.

* * *

ვ ა რ დ ი ს ფ უ რ ც ლ ე ბ ზ ე დ ა ვ ი ბ ა დ ე ბ ი

ასჯერ სიკვდილი რომ მომისაჯონ,
ერთხელაც შიშხე არ დავფიქრდები,
ყვავილო გულებში გილოცხლებ მარად,
ფერფლად ნაქცევი კვლავ გავმრავლდები.
ჩემს მზე გამძლე გულს ზეცის სივრცისკენ
აიტაცებენ მკვირცხლი მერცხლები
და მზის ბუდეში მომცემენ ბინას
ჩემი მემკვიდრე ნაზი იები.
ხან მზის სხივებად აველვარდები,



მე მაღლა ღმერთან ნასაუბრები,
გულს დაგიამებთ ცხრათვალა მწით
ნაამაგარი ჩემი ვარდები.
ზეციდან ნამად მოვევლინები,
სათუთ ყვავილებს დავნამავ ლალად
და როგორც ლაშქში მე ხელმეორედ
ვარდის ფურცლებზე დავიბადები.

ჩ ე მ ი წ ა ლ კ თ ტ ი

ჩემს ბაღნარში ყვავილები ყვავიან,
ჩემს ბაღნარში იფურჩქნება ვარდები.
სიყვარული ახლა როგორ წამივა,
მზევ წალკოტში როცა აელვარდები.
ჩემს ედემში ყვავის იასამანი,
სურნელს აკმევს სურნართავ აიგანს.
ყვავილებო აელვარდით, აენთეთ,
თორემ თქვენი დღენი სწრაფად გაიარს.
ყვავილებო, გაიფურჩქნეთ ათასფრად,
ავფოთინდეთ გაზაფხულზე ნაირფრად,
ჩავიხუტოთ გულში ზეცის ცრემლები,
სიყვარული და მშვიდობა დავირქვათ.

თ ი ნ ა თ ი ნ ხ ა რ ა ძ ე

ქ ა ქ უ ც ა ს ხ ა ნ ჯ ა ლ ი ა მ ე რ ი კ ა შ ი

ჩოლოყაშვილის ხანჯალო,
ვერცხლში ჩამჯდარი რკინაო,
საღ არის შენი პატრინი,
ობლად რად დაგარჩინაო!

როგორ დაკარგე სამშობლო,
ტყეუში ნადები ბინაო,
დუმილს მოუცავს შუამთა,
აღარ ჭრს კარაბინაო!

ბინების ასაშენებლად
აღარ ჩქარობენ ცულები,
აღარსად ჩანან, წასულან
ჭაქუცას შეფიცულები.

აღარა ხიბლავთ მშვენება,
ფერთა ბდლებიალი დილისა,
ცაზე გადავლილ არწივის—
გაშლილი ფრთების ჩრდილისა.

ველარ აქებენ ხარხარით,
ციდან მოწყვეტილ ძერასა,
კამარაშევრულ მეომარს,
ქედანზე დანაძგერასა.

ბინდუნდალ ახსოვთ; ბერმუხებს
დრო შეფიცულთა დგომისა,
ირჩის მწვადების შიშხინი,
სიკეთე შემოდგომისა.

ზამთარიც ახსოვთ, ხეებიც
ზედ ფოთლებშეძარულები,
ცეცხლის გარშემო ღვიძლ ძმებად
ფიცერცხლით შეფიცულები.


გმირი ქაჭუცას ხანჯალი,
ბასრო, ცალკარია რეზალისა
პატრონის გახსენებაზე
გულმა რომ დაგიგმინაო.

გნახე და გული მომიკვდა,
აქ ვინ დაგიდევა ბინაო,
შენ უცხოეთში რა გინდა,
სწორ გზას რამ აგაცდინაო?!

სამშობლო როცა გიხსენეთ
ნათელი მოგეფინაო,
ბუღიდან ამოიმართე,
მზის სხივმა გაგიცინაო.

ნო შრევან გალაშვილი
24. 11. 90. ა. შ. შ.

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა ს



ეგ შენი მზერა ქორული
კავკასიონის ნისლია,
ვაზის ლერწი და სამშობლო
სალოცავ ხატად გიცევია.
მის სუნთქვას ანადევნები,
იწვოდი, ვით კელაპტარი,
გულს იმიტომაც გორტნიდა
გავეშებული აუთარი!

არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის განაყარია,
შვილებს დაუგდო ბეგთარი,
ფხასისხლიანი ხმალია.

ხალხური

წელზე ვინ უნდა შეირტყას
შენი ნახმარი მურასა,
დროშა ვინ უნდა გაფინოს
თეთრი ჯანღების ქულაზე,
მაცხოვარს ვინ შეგვავერჩოს
უმხურვალესი ლოცვებით,
ფრესკაზე ვინ დაინახოს
საეტაკი ფრთები ოცნების?



ფაფარაშლილი, ლურჯაი
მხედარს იგლოვს და ჭიხვინებს,
რასაც სიცოცხლე შესწირე
აწ ის სიზმარში იხილე:
იხილე, ვით დაარწყულა
მტრის სისხლით გორდა ქართველმა,
იხილე ძველი ტრამალის
ნაკვესი ხმლებით გათელვა!
იხილე სული ქართული
გულმკერდში ვერ ჩატეული,

იხილე ძერის ნაკორტნი
მტრის დაფლეთილი სულში
იხილე სივრცე ცერიანი,
მცხეთის ცის აელვარება,
ჯვარი დიდებამოსილი,
მზის ხელისგულით ტარება!
ეგ შენი მზერა ქორული
კავკასიონის ნისლია,
ვაზის ლერწი და სამშებლი
სალოცავ ხატად გიცვნია!

* * *

შორეული ზარები

თოვს ამღვრეული ქარი,-
თებგრელის ცივი სისხლი;
სივრცეს ასველებს წყნარი.
სუნთქვა რძისფერი ნისლის ...

ყინვის ყვავილთა ციაგს
ფანტავს სიცივე თეთრი,
გრიგალს ღრუბელი მიაქვს,
ვით დამსხვრეული ეტლი...

მქრთალი მზე მშენდად ისმენს
ნაძვების ცისფერ ღუმილს,
მტკვარი შრიალებს. ისევ,
ცაა საოცრად ჩუმი ...

საღ მიაქროლებს ზამთარს
ქარი დაღალულ ფრთებით?

თეთრ და შორეულ ზართა
კივილში დგანან მთები.

ზეცა რბილია, ვრცელი,
ვით ცვარით სავსე მოლი,
ირხევა ნაძვის წელი,
მზის მკერდშე გალღვა თოვლი.

ღრუბელს ცრემლივით ედგა
თებალში სითქორის სხივი...
მზის ცხელ სურნელით ფეთქავს
სივრცე და ეძებს ტკივილს ...

... თოვს ამღვრეული ქარი,-
თებგრელის ცივი სისხლი;
ოცნებასავით წყნარი
სუნთქვა რძისფერი ნისლის ...

გარდაიცვალენ შემოდგომის ცივი ხელები.
მკვდარი ნოემბრის მტვრიან სულში აყვავდა მთვარე.
ფოთლები ქრიან და ტბორავენ ქარს გახელებით.
წევს შემოდგომა ... და არავინ უხუჭავს თვალებს ...

* * *

გადმობეჭდილია 1990 წ. უკრნალ „ნობათი“ № 5 - 6 - ჟურნალის ახალგაზრდა პოეტი აქ მხოლოდ 13 წლისაა. გ. რ.

*** *** ***

პოემა „უ დ ე ლ ი“ - დან

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ტ ი ნ ი შ ვ ი ლ ი ს .
ს ი ლ ც ე ტ ი

თუ კი ისტორია, უმაღური,
დავთარს დახურავდა შენს სახელთან,
მე ჩამოვიდოდი, უბედური,
ჩავლილ საუცუნის შესახვევთან ...

რადგან სიყვარულმა მამულისამ
მთებში გაგიყვანა შეაბჯრული,
როცა მტერი ისე გაგულისდა,
რომ ძირს გაგვითელა შნო და რჯული!..

მიყვარს მრისხანება შენეული
(შემდეგ შამილსაც რომ გადაედო!)
თითქოს არც გქონია შიგნეული,
ძვლებად სატევარის ვაღა გეღი!

ბრძოლით გაიარე წელთა გზები
და ღვთის კელაპტარად ანთებულად,
რუსის წინააღმდეგ დიდი გზების
მებრძოლ გმირად დარჩი მართებულად.

და თუ პატარა კახს, უფლისწულო,
ღლესაც იმ ნაბიჯში ედავები ...
ღრინავს იმპერია გულწასული,
უფრო ერეკლესოან შედარებით ...



ი ა ს ე

ფალ აგანდიშვილ იასეს – ისკარიოტელ იუდას,
გამყიდველს თავის ერისას, თავის სამშობლოს ბედის, –
მტერთან რომ მისრიალდება და ჩუმად ენას მიუტანს
შხამად შეერგოს ნაწოვი ძუძუდან თავის დედის!

როდემდე უნდა, მამულო, ღალატის მსხვერპლი იყო,
ვინ იცის, რას გვირდებოდა დეკემბრის ოცის ღამე ...
ეჭ, როგორ გაიხარებდა ბართაშვილი ნიკო,
ცაზე რომ აინთებოდა ცისკარი მოსისხამე!..

ვზივარ, ვკითხულობ ქრონიკებს, ყალყზე მიდგება ბეწვი –
მონობის ჩვენის დასაწყისს მის გველურ სვლებშიც გხედუვ...
ო, გვაპატიე, უფალო, ესდენ ღალატი შენთვის,
მოგვხედე ცოდვილთ, ყოველთა მწევ, ღვთისმშობელო დედავ...

წერილი ნიკოლო მიწი შვილის

სტამბოლიდან მოწერილი ქართველი მწერლებისადმი

მიღიან დღენი და არ მიღიან,
არის ნესტი და არის ქარის;
ქარი მიბერავს მე მთაწმინდიდან
და ხმა მომესმის სასაფლაოსი.

თუ გვქონდა ბედი, რატომ ისურვა,
რომ დაენგრია კოლხეთის ბუდე,
ამქვეყნად ყველას მოგზაურებივართ
და წეც მწაღია, ზურგით შევბრუ-
ნდე!..

არა მწამს ბედის, რადგან არა გვაქვს, ცოდვაში ჩაფლულთ გვიშველე,
თუ გვქონდა, რატომ მოკლეს იღია?!!.. ღმერთო,
რად აიძულეს ან მაჩაბელი
და სიბნელეში რად დაილია?!.. გამოიმეტე წყალობა, ცაო,
რომ შეიცვალოს ერთხელ დინება
და გადათეთრდეს ეს სასაფლაო!..

* * *

500 იუნკერის ხსოვნას

ცა ბინდაკურავი, შავი ღრუბლებით რთული
დასცინის კოჯირს, როგორც ჩამოშლილ ციხეს...
ტაბახმელათან მყუდროებაა, სრული ...
ჩოლოყაშვილი ბრძანით ჭრილობას ახვევს!..



ჩემო სამშობლოვ, კვლავ გლობატობენ, ვიცეპრეზედები
ეჭ, სანატრელო, სულ ამის შიში გლლიდა ასეთი მომენტის
კვდება ხუთასი გაუხელნავი კვიცი,
როგორც სამასი არაგველი კრწანისს არაგვის მხრიდან.

ვერ მოიშორე შენ ეს მოსისხლე მტერი,
მოსიყვარულევ კალამისა თუ ყაჩის,
და გეფინება კვლავ ტრამალების მტვერი,
ვით შემოსევა მაშინ მონღოლურ მკალის.

გრიგოლ რობაქიძე მზეში - 1918 - 1921

ქალდეას უფალი დახვევეს ზარნიშებს
და ტუჩს მიგაკონებ თმით შეკრულს ჯვარს ვაზის,
სიკეთით მოვშვილდავ ცხოვრების სანიშნეს
და ხელოვანებით გაცყვები ჯამბაზის!..

მიყურე, მსოფლიოვ - კრაშვილო დიაცო,
სიცოცხლის როგორი ხალჩით, ვიარო ...
ესწრაფის მზის თვალი ჩვენს ლამაზ პიაცცოს
და ქვეყნის გამჩენი ჩვენს ღიმილს ზიარობს...

გიხეილ ღანიშაშვილი

*** *** ***

არ გამოსაჭირო ებები მიმოწერიდან

ის, რაც მოსახდენი იყო, უკვე მოხდა და ამას, ალბათ, აღარავური არ ეშველება. ეხლა საჭიროა ფიქრი და იმ უამრავი პრობლემა-ტური საკითხის სწორად გათვალი და გაანალიზება, რაც ჩვენს სამ-შობლის ამოიყვანდა იმ ეროვნული კრიზისიდან, რაშიც ამჟამად ვართ ჩაძირული. განა შეიძლება სხვა რამ დავირქვათ იმ მოვლენებს, რაც ამ ბოლო თვეების განმავლობაში მოხდა საქართველოში, თუ არა ეროვნული კრიზისი?

აღათ ძნელად მოიძებნება მეორე მცირერიცხოვანი ერი მსოფლი-ოში, როგორც საქართველოა: ასე მდიდარი მოღალატე და ერთმა-ნეთის მიმართ შედლით აღსავს „მამულიშვილებით“. სულ მუდამ

მტრის გარემოცვაში მყოფ ერს, როგორც ქართველობაა, გაუჭირდება ეროვნული დამოუკიდებლაბის მოპოვება, სუვერენული საქართველოს შექმნა, ან თუნდაც შემდგომ მისი შენარჩუნებაც კი, თუ ეს ეროვნული კრიზისი არ დასძლია მან პირველ რიგში.

უდავოდ პირველ საკითხად დგას დღის წესრიგში და სასტრაფოდ ლრმა ანალიზს საჭიროებს, თუ სად იღებს სათავეს კონკრეტულ ქართველში სამშობლის ღალატის, მოძმის მიმართ შულლისა და მტრის ეს უაღრესად ზედაცემული თვისებები.

ნუთუ ეს ჩვენი მამა-პაპისეული ქართული თვისებებია? თუ საჭიროველზე სხვადასხვა მტერთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის დროს ქართულ სისხლში აღრეული ურჯულოთა სისხლის ყივილი! ორივე შემთხვევაში მას შველა სჭირდება. იგი განწმენდას საჭიროებს ამ მანკიერი თვისებებისაგან, რათა ქართველობა ერთ მუშტად შეკრულ ერად ვიქცეთ, კეშმარიტი მტრის წინააღმდეგ გასამარჯვებლად.

აი, ეს აზრები არ მაძლევენ მოსვენებას და მის გარშემოა ჩემი ფიქრები. ალბათ ბევრი ფიქრობს ყოველივე ამის შესახებ, რაშეთუ ჩვენი ისტორია ცაი, რომ მდიდარია ამგვარი ფაქტებით.

მ ა ლ ხ ა ზ მ ი ქ ა ძ ე

უ ნ ე ბ უ რ ი ა ღ ს ა რ ე ბ ა

ვინც გვიცნობს იცის, რომ ჩვენ არ გვყავს პირადი მტერი, არავინ არ გვძულს, მაგრამ არც არავინ არასოდეს სათავეანებელ კერპად არ გაგვიზღდია. ჩვენი გული სავსეა მოყვასისაღმი პატივისცემითა და სიყვარულით; ხოლო ჩვენს განწყობილებას გარე სამყაროსადმი განსაზღვრავს ის საქმე, რომლის მსახურიც ჩვენ ვართ და რომელიც არავისთვის დამალული არ არის.

ჩვენს შეფასებაში ჩვენ შესაძლებელია, შევცდეთ, მაგრამ განგებ არავის ცილს არ დაგწამებთ. დაში ეჭვი ნურავის შეუვა.

ჩვენ შეცდომის გამოსასწორებლად არც ბოდიშის მოხდას ვითაკილებთ და შეგვიძლია, რომ გუშინდელი მოწინააღმდეგე, დღეს ძმასავით მკერდში ჩავიკრათ.

შემდეგ ამისა, ჩვენ მიგვაჩინია, რომ დემოკრატია არის ის პოლიკური წესწყობილება, რომელიც უკედ უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, მის განვითარებას და მის ზიარებას ღვთაებრივ-



ობასთან. დემოკრატია, აგრეთვე, უკედ უწყობს ხელს სიმართლის გამოვლინებასა და კანონიერების დაცვას ამა სოფლის ძლიერთაგან.

ერთ, პიროვნება, დემოკრატია - აი, ჩვენი ბრძოლის მომხიბლავი სამკუთხედო.

*

სომხეთი და სომხები გერ გადამაჯერებს, რომ სომხის ერთ ქართველურ ტომების დამპყრობლებთან შერევის, კერძოდ სვან-მცხეთა და ინდოევროპელ. ორანელთა - პროდუქტი არ არის. ჩვენი იმპერატორული ამოცანაა; მომზადეს ნიადაგი ჩვენი ორი ერის კონფედერაციისა. სომებ-აზერთა დავაშო, თუ ვის ეკუთვნის მთიანი ყარაბაღი, მე ვერ, ჩავერუვი, რადგანაც მე თვითონ არ ვიცი. ისტორიული ცნობილია, რომ ეს კუთხე, რომელსაც „არცახი“ ეწოდებოდა, მე-13 საუკუნემდე შედიოდა ჩვენი მოძმე ალბანეთის სამეფოში. XIII ს. 30 - ან წლებში მას მონგოლია უწლები იპყრობენ, სახელსაც უკვლიან „ყარაბაღიად“ და ჩანს, რომ ასიმილაციას აც ახდენენ. შემდეგ ყარაბაღის სახანო იქმნება, რომლის უმაღლესი აც აზერენია. სპარსეთის იმპერია, რომლისგანაც მას დაიკყრობს რუსეთი მე-19 საუკუნის დასაწყისში. ამ დროს სომხები იქ უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ პირველი მსოფლიო ომიდან, მოყოლებული მთიან ყარაბაღში დიდი უმრავლესობა სომებია.

როგორც აღვნიშვნეთ, ჩვენს მიზანს აქ არ შეადგენს ამ მეტად სათუთი საკითხის განსჯა, არამედ ის ეროვნული შემციროვება, რომელიც სომხებამ-როგორც თვით სომხეთის, ისე ამ მხრის, მაგრამ აგრეთვე მრავალრიცხოვნმა დიასპორამ, - გამოივლინა მსოფლიო საზოგადოებრივობის წინაშე. ამ საერთაშორისო კონცერტში არც ერთი სომხის ყალბი ხმა არ გაგონილა. ყველა როგორც ერთი კაცი იცავს, რომ ყარაბაღი სომხეთის კუთვნილება იყო და არის. პოდა, მე მინდა, ამ უზადო პატრიოტიზმის წინაშე ქუდი მოვიხადო და პატივისცემით თავი დავუკრა.

C E I ანუ დ. ს. თ. მე ვფიქრობ, რომ ბორის ელცინისა და ვიქტორ კრავჩუკის ეს ქმნილება უდღეულია და ლიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. საბოლოოდ იმპერიულ-საბჭოური რუსეთი პოლიტიკურად უნდა დაიშალოს და ინგლისური ე. წ. „ქომონულტის“ მსგავსი რამ უნდა შეიქმნას, ეკონომიკისა და რესურსების უფრო ეფექტურობის მიზნით. საქართველოს მთავრობა, ზეიად გამსახურდიას მე-

თაურობით, არამც თუ ჩვენი ხალხის ნება-სურვილს გაშინაგადად
ამ საკითხში, არამედ ისტორიის გეზითაც მოქმედობდა. ამ გეზს,
ამ ისტორიულ საგალ გზას არ უნდა გადაეხვიოს, პიროვნული მტრ-
ობისა, ქიშპონბისა და შუღლის გამო. მხოლოდ ასეთი პოლიტიკით
მიიღწევა ეროვნული შემჭიდროვება და დარაზმულობა.

*

ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე. მას ჩემი წარდგენა არ ესაჭირ-
ობა. გინდა, არგინდა, ის დგას დღევანდელი ჩვენი ეროვნული ცხ-
ოვრების შუაგულში. მე ვთქვი, რომ მე პირადი მტერი არ მყავს
და, მაშ, არც შევარდნაძეა ასეთი. ჩვენს სანუკვარ საქვესთან და-
მოკიდებულება? მისი წარსული ნამდვილად არ მეტყველებს ჩვენს
შორის ნდობის სასარგებლოდ; მაგრამ, მეგობრებმ, საულის მსგავს-
ად მასაც შეიძლება, რომ ჰქონებოდა დამასკის ღამის მოჩვენებ-
ის მსგავსი ხილვები, რატომაც არა! მაგრამ უნდა გამოვტყო, რომ
ფაქტები ამის სასარგებლოდ არ მეტყველებენ. ოვთ განსაჯეთ:

**1990 წ.-დეკემბერში ის სსრკ - ს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან
გადადგა. ის დამოუკიდებლობის გზაზე დამტკარ სამშობლოსკენ კი
არ შეიშურება, რჩება მოსკოვში, როგორც უაქტიურესი დამცველი
„კავშირისა“.** ამ დროს სსრკ დალუპდა გარდუვალია, **1991 წ. 19**

ნოემბერს შევარდნაძე მაინც თანხმდება მის საგარეო ურთიერთ-
ობის მინისტრად დანიშვნას, რომელსაც, სხვათაშორის, ერთი თვის
შემდეგ გააუქმდება რუსეთის პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ელინი. არც ახ-
ლა მიუწევს გული სამშობლოსაკენ, ის გაეროს გენერალურ სამდივ-
ნოს უმიზნებს, მაგრამ აქაც ხელი ეცარება და როცა ყოველ მხრივ
წყალი გადაიწურება, მხოლოდ მაშინ უბრუნდება საქართველოს არა,
როგორც რიგითი მსახური, არამედ უმაღლესი ხელისუფალი. ვამბო-
ბო რა ამას, არა, ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი, რომ მან ცოდვები
გამოისყიდოს, მაგრამ უაჭველად კი უნდა დაამტკიცოს მისი კეშმა-
რიტი ფერის ცვალება და ჩვენც გვმართებს მის მიმართ ვიყოთ მო-
მთხოვნი და მოკრიტიკენი.

გ ა ს ტ ო ნ ბ უ ა ჩ ი ძ ე. უადგილობის გამო მხოლოდ ჩამდენიმე
სიტყვით მინდა მყითხველებს ვაუწყო, რომ ბ-ნი გ. ბუაჩიძე, რომე-
ლიც ერთი ხანია საფრანგეთში მოლვაწეობს უნივერსიტეტის ხაზით,
ეწევა აგრძელებენ ნაყოფიერ ფრანგულ ლიტერატურულ საქმიანობასაც.
კერძოდ მან გამოაქვეყნა ფრანგულ ლიტ. კრიტიკისგან მოწონებული:



გუშაგის ფონდი

რუბენ გვეტაძე	200	ექ. გივი გაბლიანი	253
გიორგი ყოყოჩაშვილი ...	200	ტიტიკო ჩხეიძე	212
იონა გუნია	300	კაკო შავგულიძე	500
შალვა თევზაძე	188	რეზო გოგიტიძე	400
ალექსანდრე მანველ ...	991	ზეინაბ ზურაბიშვილი	500
მარხაზ მელქაძე	200		
ნინა დე ჭრენტი - მელიტონ უღენტის მოსახსენებლად		200	
პატრე ხვედრიძე - ას - ასი დოლარი თამარ ალიხანიშვილის,			
მელიტონ უღენტის, თეიმურაზ ბაგრატიონ-			
მუხრანელის, მერაბ კოსტავას მოსაგონარი:			
			2073

			6217

ჯ ა მ ი

1991 წლის ანგარიში

	შემოსავალი	გასავალი
№ 24 თებერვალი 91	6091	8139
№ 25 აგვისტო 91	8328	8638
№ 26 დეკემბერი 91	3020	7453
	*****	*****

ჯ ა მ ე ბ ი 17439 24230

ამრიგად, გასავალი 6791 ფრანკით სკარბის შემოსავალს, წინა 1990 წელშიაც საბაროო დანაკლისი უდრიდა 14212 ფრ. და მათი ჯამი კი მოგვცემს 21.003 ფრანკს.

(გაგრძელება წინა გვერდიდან)

Les *NAISSANCES LATENTES*, უან რემბოს პოეზიის შთაგონებით დაწერილი და გასული წლის მარტის თვის ნომრის ლიტერატურულ „in 8“ -ში ერთი მოთხოვნა: „Des roses pour Marguerite“ ფრაგმენტი ქართული მხატვრობის რომანიდან, და „Ouvertures d'Apolinair“ ე. წ. აპოლოგია აპოლინერის, მისი პროზაული ნაწარმოებების სრული კრებულის გამოსვლასთან დაკავშირებით. ბ-ნი გ. ბუაჩიძე სამი კულტურის სინთეზს: ფრანგულის, რუსულის და ქართულის - წარმოადგენს. მარჯი მის მარჯენას, იტყოდა გრ. რობაქიძე. გ. წ-

ს ა რ ჩ ე გ ი

- .1 ბრალს ვდებათ რუსულ იმპერიალიზმს გ. წერეთელი
 .15 ბოიკოტი და დაუმორჩილებლობა ჭ. გამსახურდია
 .16 მიმართვა თბილისის მოსახლეობას -ერობნული დაუმორჩილების კომიტეტი
 .19 8 წ. დუმილის შემდეგ - ვაჟა ივერიელი
 .29 1 მაისობა - თამარიბა - გ. პერევისელი
 .31 ბრუნევის მოურავის სხვა სისატიკენი - მ. მ.
 .33 სამშობლოდან მომდინარე ამბები, ბ-ნ პ. ღ. გენუერს -
 გიორგი გულბანი, ოენგიზ ჩაჩავა, ვიქტორ ლომუხვისკი
 .38 განცხადება - მედეა თუშმალიშვილის
 .39 გერმ. კანცლერ ბ-ნ პ. კოჭლი - უზენაესი საბჭოს სახელით
 მერაბ კიკნაძე
 .41 მიმარ. ქარ. ერისალმი, ლია წერილი ბ-ნ ელცინს, ა.შ.შ.
 სახ. მდივანს ბ-ნ ბეიკერს - ზვიად გამსახურდია
 .52 ქართ. ეროვნული საბჭოს მიმართვა - კარლო ინასარიძე
 .55 გუშაგის განცხადება გ. წერეთელი
 .58 პრეზიდენტ მიტერანის პასუხი „ლია წერილზე.“
 .59 სიტყვა გიორგი შარაშიძეზე - გ. წერეთელი
 .61 ლია წერილი ამხანავ შევარდნაძეს - ელისაბედ ჩიხლაძე
 .64 ჩეხოსლოვაკიური „გაცხრილვის“ წესი პ. ტ. რ. ე
 .65 საქართველოს ცნობის ქრონიკა ე. თ. ე. რ. ი
 .66 გეორგიკა - ქეთევან მცენლიშვილი
 .67 პროტესტი საქართველოდან - ლ. ე. ნ. ა
 .68 აბელ წერეთლის ხსოვნას - დ. მ. ი. ს. გ. ა. ნ
 .70 სამგლოვიარო განცხადებები
 .71 ლ. ე. ქ. ს. ე. ბ. ი - თინა ჩიქოვანი, თინათინ ხარაძე, ტატო ნი-
 ნუა, მიხეილ ღანიშაშვილი
 .78 არაგამოსაქვეყნებელ მიმოწერილან - მალხაზ მ. ი. ქ. ა. ძე
 .79 უნებური აღსარება გ. წერეთელი

01/11/2015-00
00000000000000000000000000000000

GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE
(POLITIQUE - LITTERATURE - MÉMOIRES)*

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE